# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 30 იანვარი. 2023 წ. №11 (9543) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

## სად – უზნეოთა კასტა და სად – ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა?!





**თამარ კიკნაძე: ერთი უბედურებაა, თუკი მათ რეალურად ჰგონიათ, რომ საქართველოს დეოკუპაციას მოახდენენ და მეორე უბედურებაა, თუ მათ იციან, რომ აბსურდსაც სთავაზობენ საზოგადოებას და მაინც ამას ლაპარაკობენ!..**

ახალი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა „იწყება“, ოღონდ არა **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** ხელმძღვანელობით, არამედ **ელენე ხოშტარიას, გიორგი ვაშაძის** და **ზურაბ გირჩის** თაოსნობით.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა „ნაციონალები“ და ყოფილი „ნაციონალები“ ცდილობენ, სიტყვა „ეროვნულს“ შეეფარონ. ჯერ კიდევ 2015 წელს „ნაციონალები“ ირაკლი წერეთელს დაუახლოვდნენ, რომელიც საქართველოს თავისუფლების სიმბოლოდ მოიხსენიეს და ამ ქათინაურით ისე აამეს ირაკლი წერეთელს, რომ წერეთელმა შიმშილობაც წამოიწყო დაპატიმრებული „ნაცების“ გამოსაშვებად, „ქართული ოცნების“ მთავრობის შესაცვლელად, 1921 წლის კონსტიტუციის აღსადგენად, სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის შესაწყვეტად, საქართველოში ამერიკის ჯარების შემოსასვლელად. დაბოლოს, ყველაფერი დააგვირგვინა ირაკლი წერეთლის მაშინდელმა ნათქვამმა, ეროვნული მოძრაობა და „ნაციონალები“ უნდა გაერთიანდნენ და თბილისში ტრიუმფით შემოვიდნენ.

დღევანდელი „ეროვნულები“ 24 თებერვალს, ანუ რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპაციის დღეს შეიკრიბებიან და პროტესტს გამოხატავენ.

**„თავისუფლებისთვის – წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტის“ ლიდერ აკია ბარბაქაძის თქმით, დაიწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც** დასრულდება საქართველოს დეოკუპაციით, კოლაბორაციონიზმისგან გათავისუფლებით.

იხ. 3 გვ.

## მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ახალ შევსებას ელის




6



ექსკლუზიური ინტერვიუ ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის მთავარ რედაქტორთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან როინ მეტრეველთან.

## მეცნიერული ღვაწლი „ერის მეჭურჭლეთ-უხუცესისა“!

6




## რუსეთი – „ევროპის ჟანდარმი“




**ვაჟა თვალავაძე:**

ყველა თანხმდება იმ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც საქართველო თუ მეორე ფრონტს გაუხსნიდა რუსეთს და უკრაინასთან ერთად იბრძოლებდა რუსეთის წინააღმდეგ, კანდიდატობის სტატუსს მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად მიიღებდა

## „არაფერია მზის ქვეშ ახალი!“

2

დავჭირდებით? – მიგვიღებენ!

**ლევან მამალაძე:**



## ჩვენი პირველი მოთხოვნაა, დაიწყოს გამოძიება და გაირკვეს, რა გარიგება ჰქონდა სააკაშვილს პუტინთან?!

5

## სოზარ სუბარი სააკაშვილზე:

**„ვინც მე საქართველოში დამაბრუნა, უკრაინაში ჩანერგილი რუსეთის აგენტები იყვნენო. ბანდეროლი იყო ეს დალოცვილი? თვითონ არაფერს წყვეტდა?“.**

2



# მიშას ისევ პუტინი და მისი აგენტები ელანდება, საკუთარ ქვეყანას კი აჯიჯიხეთებს!

**საქართველოს მთავრობა რუსეთის სასარგებლო ინსტრუმენტია საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის მცდელობაში,** – ამის შესახებ გერმანულ გამოცემა **„შპიგელთან“** ინტერვიუში საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, **მიხეილ სააკაშვილმა** განაცხადა. როგორც მიხეილ სააკაშვილი ინტერვიუში აღნიშნავს, **„მისი მშობლიური ქვეყანა დიდი ხანია, გახდა პუტინის საიდუმლო მოკავშირე“.**

მიხეილ სააკაშვილი ასევე აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა არა მხოლოდ მისი ფიზიკური განადგურების, არამედ საქართველოში მისი დაკავებისა და გასამართლების ბრძანებაც გასცა.

**„პრეზიდენტი პუტინი, მისი წინამორბედი დიმიტრი მედვედევი და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მოითხოვდნენ არა მხოლოდ ჩემს ფიზიკურ განადგურებას, არამედ იმასაც, რომ მე საქართველოში დავეპატიმრებინეთ და გავესამართლებინეთ. მსოფლიოს არცერთმა სხვა ქვეყანამ, რუსეთის გარდა, არ აღიარა ჩემ წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები ან განაჩენები. მე მინდოდა საქართველოში დაბრუნება, თუმცა დრო ცუდად იყო შერჩეული – უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის დაწყება ასე ახლოს იყო. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათ შორის, ვინც 2021 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩემ დაბრუნებას გეგმავდა, რუსეთის ჩანერგილი აგენტი იყო“,** – აცხადებს სააკაშვილი.

შეკითხვაზე, მიიჩნევს თუ არა საკუთარ თავს ალექსეი ნავალნის ქართველ ანალოგად, მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, რომ მათ მოწამვლის საშინელი გამოცდილება აკავშირებთ.

**„პუტინი ამბობს, რომ ნავალნი ჩემი რუსული ვერსიაა. სიმართლე ისაა, რომ ჩვენ ორივეს გვძულს კორუფცია, თუმცა ნავალნი, რა თქმა უნდა, ბევრად ეფექტიანად ამხელს მას. ისღა დაგვრჩენია, ვნახოთ, იქნება თუ არა ის რუსეთის ისეთივე ეფექტიანი მომავალი ლიდერი, როგორც მე ვიყავი საქართველოში. რაც ჩვენ ასევე გვაკავშირებს, არის მოწამვლის საშინელი გამოცდილება. ჩვენ ორივემ ჯერ კიდევ უნდა დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია ამის გაძლება“...**

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ასევე ამბობს, რომ ის, რაც მასთან დაკავშირებით ხდება, არის მკაფიო გზავნილი უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისთვის.

**„ის, რაც ახლა ჩემთან დაკავშირებით ხდება, არის მკაფიო გზავნილი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთვის. მან უარი თქვა ქვეყნის დატოვებაზე რუსეთის აგრესიის დასაწყისში, ისევე როგორც ეს გავაკეთე მე, როდესაც პუტინის ჯარები 2008 წელს საქართველოში შეიჭრნენ“,** – აღნიშნავს სააკაშვილი.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას, ექსპრეზიდენტი „შპიგელთან“ აღნიშნავს, რომ **„თუ გადარჩება, თავის მომავალს უკრაინაში ხედავს“.**

**მიხეილ სააკაშვილმა შეკითხვებს წერილობით ინგლისურად უპასუხა, პასუხები კი „შპიგელს“ მისმა დედამ, გიული ალასანიამ გადასცა.**

## სოზარ სუბარი:

# ბანდეროლი იყო ეს დალოცვილი? თვითონ არაფერს წყვეტდა?

„ხალხის ძალის“ ლიდერი, **სოზარ სუბარი,** გიული ალასანიას მიერ მიხეილ სააკაშვილზე გაკეთებულ განცხადებას Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე ეხმაურება.

**„ვინც მე საქართველოში დამაბრუნა, უკრაინაში ჩანერგილი რუსეთის აგენტები იყვნენო. ბანდეროლი იყო ეს დალოცვილი? თვითონ არაფერს წყვეტდა?“.**

გიული ალასანიამ ჟურნალისტებთან განაცხადა: **„სადაც ნახავდნენ (მიხეილ სააკაშვილს), აეროპორტი იქნებოდა, კაფე თუ ქუჩა, მიდიოდნენ და არწმუნებდნენ, რომ მისი ჩამოსვლა საქართველოში სასწრაფოდაა აუცილებელი“...**

## ბექა დავითულიანი:

# სააკაშვილმა ყველას ცელი გამოუსვა!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, **ბექა დავითულიანის** განცხადებით, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლაში რომ რუსეთის ხელი ერია, დედამისი ღიად ამბობს იმ ჩანაწერში.

**„სასაცილო რამეებს ამბობს და ამავდროულად ყველას, ვინც კონკურენციას უწევს პარტიაში და ციხიდან მის ბრძანებებს არ ითვალისწინებს და თავის თამაშს თამაშობს, ყველას ცოტ-ცოტა ცელი გამოუსვა, მათ შორის ვანო მერაბიშვილსაც. ამაში რომ რუსეთის ხელი ერია, დედამისი ღიად ამბობს იმ ჩანაწერში, რომ რუსეთთან არის შესათანხმებელი. თუ ერთმანეთს ლანძღავენ, ჩავთვალოთ, რომ მართლები არიან“...**



## ვანო მერაბიშვილი: სკამისა და არჩევნების გამო არ შეიძლება ყველაფერი იკადრო!

**რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ხშირად სწორედ ის ხალხი მაბრალებს, ვისაც მთელი თავისი ბიოგრაფია სავსე აქვს ჩვენი ქვეყნის მტრებთან პირდაპირი თუ ირიბი კოლაბორაციის მაგალითებით, სკამისა და არჩევნების გამო, არ შეიძლება, ყველაფერი იკადრო,** – ამის შესახებ ყოფილი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი სოციალურ ქსელში წერს. მერაბიშვილი გერმანულ გამოცემა „შპიგელთან“ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს ეხმაურება და წერს, რომ მისი მეგობრის, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს მახინჯი ინტერპრეტაციის უყურადღებოდ დატოვება არ შეუძლია.

**„მინდა, გამოვეხმაურო დღეს აგორებულ მორიგ ტალღას ჩემთან მიმართებაში. წარსულში შეცდომები დამიშვია, მაგრამ პასუხისმგებლობას არასოდეს გავქცევივარ. სამარტოო საკანში გატარებულმა შვიდმა წელმა ბევრი დრო მომცა, მათ შორის, საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებისთვის.**

**სტრასბურგის ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ პატიმრობის გამოყენების მიზანი იყო, მიეღო იძულებითი ჩვენება ჩემგან, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ.**

**აქამდე ბევრ სხვა ტიპის უბინძურეს ცილისწამებაზე კომენტარიც კი არ გამიკეთებია, მაგრამ ახლა ჩემი მეგობრის, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს მახინჯი ინტერპრეტაციის უყურადღებოდ დატოვება უბრალოდ არ შემიძლია.**

**რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ხშირად სწორედ ის ხალხი მაბრალებს, ვისაც მთელი თავისი ბიოგრაფია სავსე აქვს ჩვენი ქვეყნის მტრებთან პირდაპირი თუ ირიბი კოლაბორაციის მაგალითებით. ვწუხვარ, რომ მიწევს ამის თქმა, მაგრამ დამაბრალო ის, რასაც მთელი ცხოვრება ვებრძოდი, არის ამორალური და უსინდისო საქციელი. უკრაინის გარდა, არცერთ ევროპულ სპეცსამსახურს არ მიუყენებია იმხელა ზიანი რუსული სპეცსამსახურებისთვის, როგორიც ჩვენმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაყენა. რუსეთი მტერია, უკრაინა გაიმარჯვებს და მასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, საქართველოც გავა სამშვიდობოზე. სკამისა და არჩევნების გამო, არ შეიძლება, ყველაფერი იკადრო!“...**

## რუსეთი – „ევროპის ჟანდარმი“

# „არაფერია მზის ქვეშ ახალი!“




**ქართველი პოლიტიკოსები, ქართული მედიასაშუალებები, გამუდმებით მსჯელობენ, კამათობენ და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებისთვის ცდილობენ გამოიყენონ საკითხი საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსის მიღების შესახებ.**




ოპოზიცია მთავრობას საყვედურობს იმ 12-პუნქტიანი მოთხოვნების შესრულებისთვის არასათანადო მუშაობის გამო, რომლებიც კანდიდატის სტატუსის მისაღებად წამოგვიყენეს; მთავრობა პირიქით – ოპოზიციას დებს ბრალს, ზოგიერთები აბსურდამდეც კი მიდიან და საქართველოს ევროპულ მომავალს სააკაშვილისა და გვარამიას სასჯელისგან გათავისუფლებას უკავშირებენ და ა.შ. თავიდანვე უნდა განვაცხადოთ: ეს 12 პუნქტი არის ერთგვარი კოსმეტიკა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად; მთავარი და გადამწყვეტი არის ის, თუ რამდენად შეესაბამება შენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, საგარეო პოლიტიკა და ა.შ. მათ პრაგმატულ მიზნებსა და ამოცანებს.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველა თანხმდება იმ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც საქართველო თუ მეორე ფრონტს გაუხსნიდა რუსეთს და უკრაინასთან ერთად იბრძოლებდა რუსეთის წინააღმდეგ, კანდიდატობის სტატუსს მოლოდოვასა და უკრაინასთან ერთად მიიღებდა, ბევრისმეტყველია.

ამ შემთხვევაში არავინ დაუწყებდა კირკიტს ჩვენთან დემოკრატიული მმართველობის, საარჩევნო სისტემის სრულყოფის, მართლმსაჯულებასა და სხვა საკითხებს – პირდაპირ კანდიდატის სტატუსს მოგვანიჭებდნენ. ისტორიაში მრავალი მაგალითია, რომელიც გვაუწყებს, თუ როგორ უგულებელყოფენ საკუთარი ქვეყნის ინტერესების გამო ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეებს, საერთაშორისო სამართალს, მორალურ პრინციპებსა და სხვას.

**ევროპის ქვეყნების წაყრუების პოლიტიკამ ორჯერ ააოხრებინა „ევროპის ჟანდარმს“ – რუსეთს, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი პოლონეთის სამეფო. პირველად ეს მოხდა 1831-1832 წლებში, როდესაც გენერალმა პასკევიჩმა სისხლში ჩაახშო ეს აჯანყება.**

მძიმე მარცხის მიუხედავად, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პოლონელები არ ეგუებოდნენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას და 1863 წელს კვლავ აჯანყდნენ. ამ აჯანყების ჩახშობისას რუსი ჯარისკაცები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გაუგონარ სისასტიკეს იჩენდნენ, აიძულებდნენ მათ მიეტოვებინათ საცხოვრებლები და თავშესაფარი მეზობელ სახელმწიფოებში ეძებნათ.მაშინდელი ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, კონიუნქტურული მოსაზრებებით არ დაგმეს რუსეთის ასეთი ველურობა. საფრანგეთის იმპერატორმა, ნაპოლეონ III-მ კი, იმ მოტივით, რომ პრუსიასთან მოსალოდნელ ომში რუსეთის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა – რუსეთის ჯარს საფრანგეთის ტერიტორიაზე ლტოლვილი პოლონელების დევნის უფლება მისცა.

პირველ მსოფლიო ომში, რუსეთის მთავარმა მოწინააღმდეგე გერმანიამ, ეროვნული ინტერესების გამო, უგულებელყო „მოკავშირე“ კაპიტალისტური ქვეყნების მცდელობა – საბჭოთა რუსეთი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბლოკადაში მოექციათ და ფარულად, 1922 წლის 16 აპრილს, იტალიის ქალაქ რაპალოში ხელი მოაწერა მასთან ხელშეკრულებას და პირველმა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც საქართველოს ეხება... 1926 წელს გენერალმა ჰოფმანმა მოამზადა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა. ამ გეგმით განსაზღვრული იყო თითოეული სახელმწიფოს ( თურქეთი, ბულგარეთი, სპარსეთი, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი) როლი მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციების დროს.

# სად – უზნეოთა კასტა და სად – ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა?!




(პირველი გვერდიდან) „ქართული მარშის“ ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** გაოცებულია, რატომ ჰგონია ამ სამეულს, რომ ხალხს ამნეზია სჭირს და დაავიწყდათ მათი წარსული?! სანდრო ბრეგაძე მოსკოვის ფსბ-ს სკოლაში აღზრდას უხსენებს ელენე ხოშტარიას, აკია ბარბაქაძეს კი კიტოვანის მოადგილეობას შეახსენებს და დასძენს, რომ ამ ადამიანებმა გრუ-ს ბრძანებით, **დევი ჭანკოტაძესთან** ერთად ცეცხლი გაუხსნეს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას 1991 წლის 22 დეკემბერს.

„ტაბულას“ დამფუძნებელი **თამარ ჩერგოლეიშვილიც** ინტერესდება, მერამდენე ახალი ეროვნული მოძრაობა გამოაცხადეს უკვე ამ ადამიანებმა?!

ახალ ეროვნულ მოძრაობაში ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა გარდა იქნებიან მხატვარი **გია ბუღაძე,** ექიმი **ვაჟა გაფრინდაშვილი,** პოეტი **კოტე ყუბანეიშვილი** და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** აცხადებს, რომ ამ ადამიანების მიერ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წამოწყება აბსურდი და არარეალურია. მეტიც, ეს არის მტრული დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მიმართ. ერთი უბედურებაა, თუკი მათ რეალურად ჰგონიათ, რომ ამით საქართველოს დეოკუპაცია მოხდება და მეორე უბედურებაა, თუ მათ იციან, რა აბსურდსაც სთავაზობენ საზოგადოებას და მაინც ამას ლაპარაკობენ.

**„ელენე ხოშტარია, ზურაბ გირჩი და გიორგი ვაშაძე ეროვნული მოძრაობის ლიდერები ვერ გახდებიან, ისინი ამ ტვირთს ვერ აწევენ. ამ ადამიანების შესახებ ბევრი ინფორმაციის ქონა არ არის საჭირო, მათი ქმედებები პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი საკუთარი ქვეყნის თამაშს არ თამაშობენ და ვიღაცის ინტერესების გამტარებლები არიან, რაც ძალიან სამწუხაროა. ქართველი ადამიანები სამშობლოს უნდა გაუფრთხილდნენ და მათი უპირველესი მოვალეობა სამშობლოს კეთილდღეობა უნდა იყოს“,** – აცხადებს თამარ კიკნაძე.

მისივე შეფასებით, ის ფაქტი, რომ ეს ადამიანები 24 თებერვალს ამთხვევენ ე.წ. ეროვნული მოძრაობის დაწყებას, კიდევ ერთი უბედურებაა, რადგან უკრაინაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ფაქტობრივად, აღარ არის ეს ქვეყანა და აღარ იქნება ისეთი, როგორც იყო. რა უნდათ ელენე ხოშტარიას, ზურაბ ჯაფარიძეს და გიორგი ვაშაძეს, რომ საქართველოც ასეთი იყოს?! მით უმეტეს, საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და აქვეა რუსული ჯარი. ეს ძალიან ცუდად დამთავრდება, იმდენად ცუდად, რომ შეიძლება ლაპარაკი იყოს, რომ როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს უკრაინა.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** მიიჩნევს, რომ საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად საქართველო აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ერთი მხრივ, როცა საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, მეორე მხრივ, საქართველოს თითოეული მოქალაქე არ არის თავისუფალი და საქართველომ ვერ მიაღწია რეალურ თავისუფლებას, პოლიტიკურ და სულიერ თავისუფლებას, ბრძოლა ვერ შეწყდება.

**„ეს ბრძოლა გრძელდება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ საქართველოში არსებული ანტიეროვნული ძალების წინააღმდეგ. თავის მხრივ, როდესაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა მიმდინარეობდა საქართველოში 80-90-იან წლებში, ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის დამარცხება, რაც მოხდა კიდეც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად. ეს იყო რუსეთის ინტერესების გამტარებელი ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. რაც შეეხება გიორგი ვაშაძის, ელენე ხოშტარიას, ზურაბ გირჩის ლიდერობას, არ არის აუცილებელი, ზვიად გამსახურდია, დავით აღმაშენებელი და ილია იყო, ფაქტია, დღეს ეს ადამიანები არიან პოლიტიკაში. იმ ფონზე, როდესაც „ნაცმოძრაობაში“ დაპირისპირებაა, ეს ადამიანები გამოიკვეთნენ. თუკი „ნაცმოძრაობა“ სუსტდება, მაშინ უმჯობესია, ვაშაძემ, ხოშტარიამ და ზურაბ გირჩმა აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, რადგან სხვა ძალა არ ჩანს. ზოგადად, დაპირისპირება ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოს წამყვან პარტიებშიც, თუმცა საქართველოში „ნაცმოძრაობაში“ არსებული დაპირისპირება გამომზეურდა“,** – აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოსის აზრით, თუკი ამ სამეულმა სწორი პოლიტიკა წარმართა, მათ შეუძლიათ თავისკენ მეტი ადამიანი მიიზიდონ. მათ უნდა აუხსნან მოქალაქეებს, რომ არანაირად ოპოზიციის მიზანი არ არის ომში საქართველოს ჩათრევა. ვერც ჩაითრევენ ომში, რადგან მათ არ ექვემდებარება არც შეიარაღებული ძალები და არც პოლიცია. მათ უნდა იბრძოლონ საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარებისთვის და საამისო პროგრამა უნდა წარადგინონ.

**მანანა ნოზაძე**

---

ამ გეგმის განხორციელების ძირითადი მიზანი იყო ინგლისის სამხედრო-ეკონომიკური კავშირის შექმნა საბჭოთა კავშირისგან კავკასიისა და უკრაინის ჩამოსაცილებლად. ეს განზრახვა მოიწონა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლოკერ ლემპსონმა, რომელმაც განაცხადა: „ინგლისი, მხარს დაუჭერს ერთა ლიგაში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.“ ინგლისის ოფიციალური პირის მიერ ასეთი განცხადება მოულოდნელი იყო.

1920 წელს ინგლისი ხომ ყველაზე მეტად აქტიურობდა საქართველოს ერთა ლიგაში გაერთიანების წინააღმდეგ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, ისევე როგორც სხვა ქვეყნებს, მას აქვს მხოლოდ მუდმივი ინტერესები, რომლებიც ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო-ეროვნული მიზნებით. ასეთ პრაგმატულ პოლიტიკას გააჩნია ლეგიტიმური საფუძვლები. გერმანელი პროფესორი ფრიდრიხ ლისტი (1789-1846) არ იზიარებდა ადამ სმიტის მოძღვრებას თავისუფალი ვაჭრობისა და ინდივიდუალური თავისუფლების შესახებ. იგი წერდა: „ზოგადსაკაცობრიო ინტერესები ბუნდოვანია, პირადი, ვიწრო და შემთხვევითი, ადამიანი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ეროვნულ ინტერესებს.“

**მრავალი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება. ისინი ნათლად მოწმობენ იმას, რომ ევროკავშირის ქვეყნების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად თუ საქართველო აუცილებელი გახდა, თვალს ჩაგვიპაჭუნებენ იმის ნიშნად, რომ გვაგრძნობინონ – თქვენთან დემოკრატიული მმართველობის მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მართლმსაჯულების რეფორმები ბოლომდე არაა გატარებული, სრულყოფას საჭიროებს კანონები არჩევნების შესახებ და ა.შ, მაგრამ მაინც მოგვანიჭებენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს.**

ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნებისთვის რომ საქართველო განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ხდება, ამაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს. ცოტა ხნის წინ ბუქარესტში, ნატოს მინისტერიალზე, ხაზგასმით ითქვა – ნატოს განზრახული აქვს საქართველოს, მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცოგოვინასთვის დახმარების გააქტიურება.

ასეთი განცხადება საქართველოსადმი ალტრუისტული გრძნობის მოძალების შედეგი არ ყოფილა. ალიანსის ქვეყნებს კარგად აქვთ გააზრებული ის, რომ თუ თავიანთი მთავარი მოწინააღმდეგის, რუსეთის შესაძლო აგრესიის მომლოდინე ქვეყნებს დაეხმარებიან, გააძლიერებენ მათ სამხედრო წინააღმდეგობის უნარს, ამით თავიანთი ქვეყნების უსაფრთხოებას გაზრდიან. ნატოს გარდა სხვა ქვეყნებიც არიან სამხრეთ კავკასიაზე გავლენის მოპოვების მსურველები. რუსეთი სამხრეთ კავკასიაზე გავლენას თუ დაკარგავს, ამით იგი იძულებული გახდება შავი ზღვის აკვატორიაზეც თავისი პრეტენზიები მოთოკოს.

ამგვარად, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო, ევროკავშირის 12-პუნქტიანი მოთხოვნების სათანადოდ შეუსრულებლობის შემთხვევაში, დიდი ალგათობით (რასაკვირველია, კოსმეტიკაზეც უნდა ვიზრუნოთ), საქართველომ შეიძლება მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

ასეთ დასკვნას ეხმიანება ეკლესიასტეს ცნობილი შეგონება: **„რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი!.“**

**ვაჟა თვალავაძე**

---

# „ტვ პირველის“ ეთერში გასული მასალა მიზანმიმართულად ემსახურება არამხოლოდ საქართველოს კურორტების, არამედ ქვეყნის დისკრედიტაციას

**მთის ტრასების სააგენტო ეხმაურება „ტვ პირველის“ ეთერში გასულ მასალას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ზამთრის კურორტებზე – გუდაურსა და ბაკურიანში ტურისტული სეზონი ჩავარდა, რადგან შესაბამისმა უწყებებმა ვერ შეძლეს კურორტების სათანადოდ მომზადება.**

**„ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ტელეკომპანიის განცხადება მიზანმიმართულად ემსახურება არამხოლოდ საქართველოს კურორტების, არამედ ქვეყნის დისკრედიტაციას, მითუმეტეს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველო ძალიან აქტიურად ემზადება ფრისტაილის 2023 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად და საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მხრიდან გვაქვს დადებითი შეფასებები როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე საორგანიზაციო ნაწილში.**

**გვსურს საზოგადოებამ იცოდეს, რომ ბუნებრივი თოვლის არმოსვლის გამო, გუდაურში ხელოვნური გათოვლიანების პროცესი დაიწყო მაშინვე, როგორც კი კლიმატურმა პირობებმა მოგვცა ამის შესაძლებლობა (ხელოვნური გათოვლიანებისთვის აუცილებელია დაბალი, მინუს ტემპერატურა) – 2022 წლის 21 დეკემბრიდან ჩვენი გუნდი 24-საათიან, უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა იმისთვის, რომ მოემზადებინა სასრიალო ტრასები. შესაბამისად, პირველ ეტაპზე, ხელოვნური თოვლის დაგროვების შედეგად, მიმდინარე წლის 11 იანვარს გაიხსნა სნოუპარკის ტრასა, ხოლო 13 იანვარს – გუდაურას სასრიალო ტრასა. მიმდინარე პერიოდში ბუნებრივი კლიმატი გვაძლევს საშუალებას, რომ გუდაურისა და სნოუპარკის ტრასებმა სრულყოფილად იფუნქციონიროს – ხელოვნური გათოვლიანების სისტემები ჩართულია და სასრიალო ტრასები იდეალურად არის მომზადებული.**

**2023-2024 წლებში გუდაურში კიდევ 2 სათხილამურო ტრასაზე დამონტაჟდება ხელოვნური გათოვლიანების სისტემები, რაც, ჯამში, მოგვცემს საკმაოდ დიდ სასრიალო არეალს. გარდა ამისა, უკვე დამონტაჟებულია 29 კმ-ნი ხელოვნური გათოვლიანების სისტემა ბაკურიანში (დიდველის, კოხტასა და მიტარბის არეალში), სადაც წელს ფრისტაილის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პროექტი ერთიან კონტრაქტში მსოფლიოს მასშტაბით არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ მედიასაშუალებებს, შესაბამის უწყებებთან გადაამოწმონ და ისე მიაწოდონ საზოგადოებას ზამთრის კურორტებთან დაკავშირებული ინფორმაცია“,** – აღნიშნულია „მთის ტრასების სააგენტოს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## დაინტერესდება თუ არა ბიზნესი ისტორიული შენობების რეაბილიტაციით?



# დედაქალაქის მასშტაბური პრობლემა

**თბილისის ისტორიულ ადგილებში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობები ჩანაცვლდება ან რესტავრაცია ჩაუტარდება. თბილისის მერმა კახა კალაძემ, ვიცე-მერ ირაკლი ხმალაძეს ისტორიულ უბნებში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემის მოგვარების მიზნით, პროგრამის შექმნა დაავალა. კახა კალაძის თქმით, სხვა უბნებში უკვე მიმდინარეობს ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, თუმცა, საჭიროა, შემუშავდეს მიდგომა ისტორიულ არეალებში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობებისთვისაც.**

მერიაში განმარტავენ, რომ ისტორიულ უბნებში „კა-2“ კოეფიციენტი არ გაიზრდება და შესაძლოა, ინვესტორებს ავარიული სახლის გამოსყიდვის ან რეაბილიტაციის სანაცვლოდ, სხვა უბანში, კოეფიციენტის გაზრდა შესთავაზონ.

**„ძალიან ბევრი წერილი შემოდის მუნიციპალიტეტში იმასთან დაკავშირებით, რომ ისტორიულ უბნებში ავარიული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას ადგილობრივი მცხოვრებლები ვერ ახერხებენ და მოგვმართავენ ჩვენ. ცხადია, მუნიციპალიტეტი ყველა ავარიული სახლის განახლება-რეაბილიტაციას ვერ შეძლებს. ამიტომ, აუცილებელია, შეიქმნას კონკრეტული პროგრამა, სადაც ბიზნესის ჩართვით შესაძლებელი იქნება აღნიშნული ცვლილებების განხორციელება – ამ სივრცეების მოწესრიგება და რეაბილიტაცია.**

**მესმის, რომ ეს საცხოვრებელი სახლები არის კერძო საკუთრება, მაგრამ ყველას არ აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს საკუთარი უძრავი ქონების კაპიტალური რეაბილიტაცია-რესტავრაცია და მოწესრიგება. ამიტომ, გავალებთ, რომ მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრამა შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეებს, მერიასთან თანამშრომლობით და კოორდინაციით გაიუმჯობესონ საცხოვრებელი გარემო“,** – განაცხადა კალაძემ.

პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე ამბობს, რომ ინვესტორისთვის, რომელიც ავარიული შენობის ჩანაცვლებაში ან რეაბილიტაციაში ფულს ჩადებს, სანაცვლოდ სხვა რამეს შესთავაზებენ.

**„იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიულ უბნებში არის მკაცრად რეგლამენტირებული პარამეტრები და არ შეიძლება ერთი სართულის დამატებაც კი, პრაქტიკულად, მოლაპარაკების შესაძლებლობა არ არსებობს ინვესტორს და ბინის მფლობელს შორის. ისტორიულ უბნებში კოეფიციენტი ვერ მოიმატებს, მაგრამ შეიძლება გაკეთდეს კომბინაციურად, რომ კონკრეტულ ინვესტორს სხვა უბანში გაეზარდოს პარამეტრი, იმის სანაცვლოდ, რომ ისტორიულ უბანში მოახდინოს კონკრეტული სახლის გამოსყიდვა და განახორციელოს მისი ჩანაცვლება ან რეაბილიტაცია. შესაძლოა, იყოს სხვა ვარიანტიც, რომელზეც ჯერ ვერ ვისაუბრებ“,** – განაცხადა ხმალაძემ.

დედაქალაქში ეს პრობლემა მართლაც მასშტაბურია. ისტორიული შენობა-ნაგებობები უკვე მინიმუმ 100 წელზე მეტი ხნისაა, ზოგიერთი კი თითქმის 2 საუკუნესაც ითვლის. მათი რეაბილიტაცია აუცილებელი, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ რთულიცაა.

ისტორიულ არეალებში ავარიული შენობების ჩანაცვლებაში გამოცდილი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ არსებობს საკმაოდ ბევრი ბიუროკრატიული ბარიერი, რომელიც განსაკუთრებით ისტორიულ უბნებში კიდევ უფრო მეტად გართულებულია. ეს კი აფერხებს დროში პროცესების განხორციელებას.

**„ერთ-ერთი მწვავე საკითხი არის მოსახლეობასთან მოლაპარაკება, რადგან მათი მხრიდან ხშირია არარელევანტური მოთხოვნები. ვეღარ შევდივართ ახალ ობიექტებზე და პრობლემაც მოუგვარებელი რჩება. ამ ნაწილში თუ მერია შუამავლის როლს იკისრებს, ძალიან კარგი იქნება“,** – განუცხადა „ბიზნეს მედიას“, „აპარტ დეველოპმენტის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **თათა დგებუაძემ** და დასძინა, რომ თავად ისტორიულ უბნებში შენობების ჩანაცვლებაში კომერციულ ინტერესს არა საცხოვრებელ ბინებში, არამედ კომერციულ ფართებსა და სხვა მომსახურებების შესრულებაში ხედავენ. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ „კა-2“ კოეფიციენტთან მიმართებით ცვლილებები იქნება, ეს დეველოპერების ინტერესს მსგავსი პროექტების მიმართ კიდევ უფრო მეტად გაზრდის.

ბექა დანელია

# საქართველოში იახტების იმპორტი იზრდება!!!

**საქართველოში იახტების იმპორტი ბოლო 13 წლის მაქსიმუმზეა. საქსტატის ვებგვერდზე სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება 2009 წლიდანაა შესაძლებელი, საიდანაც დგინდება, რომ საქართველოში 2022 წელს ქვეყანაში რეკორდული რაოდენობის (წონის და ღირებულებით ჭრილში) იახტების იმპორტი გამოვლინდა.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წელს საქართველოში 4,125.28 ათასი დოლარის იახტების იმპორტი აღირიცხა, რაც 938.6%-ით მეტია 2021 წელს ქვეყანაში შემოსულ იახტების ღირებულებასთან შედარებით. რაც შეეხება ბოლო წლების სტატისტიკას სახეზეა, რომ 2020 წელს როდესაც ქვეყანაში ლოკდაუნი იყო 2019 წლამდე ანუ პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით იახტების იმპორტში ზრდა დასტურდება. ირკვევა, რომ 2022 წელს ქვეყანაში შემოსული იახტების (ღირებულებით ჭრილში) 47.5%-ი ამერიკიდანაა. 2022 წელს ამერიკიდან საქართველოში 1,961.88 ათასი დოლარის ღირებულების იახტები შემოვიდა. იმპორტიორი ქვეყნების რეიტინგში მეორე პოზიციაზეა თურქეთი, საიდანაც გასულ წელს ქვეყანაში 845.16 ათასი დოლარის იახტები შემოვიდა.

**იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-3-შია ასევე კორეა, საიდანაც 2022 წელს 328.00 ათასი დოლარის იახტებია შემოსული. რაც შეეხება 2021 წლის სტატისტიკას, იახტების იმპორტის კუთხით აშშ (91.75 ათასი დოლარი), შვეიცარია (88.84 ათასი დოლარი) და უკრაინა (50.61 ათასი დოლარი) ლიდერობდნენ. საგულისხმო დეტალი: 2022 წელს ქვეყანაში შემოსული იახტების 77,5%-ი ქვეყანაში საავტომობილო გზით შემოვიდა.**



# ქვეშეთი-კობის 9 კმ-იანი გვირაბი უკვე 5 კმ-ზეა გაჭრილი...

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებით, ქვეშეთი-კობის 23 კმ-იანი გზისა და გვირაბების მშენებლობა აქტიურად გრძელდება. მთავარი, 9 კმ-იანი გვირაბის ბურღვის სამუშაოები, რომელიც ქვეშეთი-კობის პროექტისთვის სპეციალურად დამზადებული გვირაბგამყვანი (TBM) დანადგარით წარმოებს, უკვე 5 კილომეტრის სიღრმეში მიმდინარეობს. 3 კილომეტრსა და 820 მეტრზეა გაჭრილი საევაკუაციო გვირაბიც.**

უწყების ცნობით, ქვეშეთი-კობის პროექტის ფარგლებში, **სულ, შენდება 23 კმ-იანი 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, 5 ხიდი, 5 გვირაბი და რეაბილიტაცია უტარდება 1 ხიდს. გვირაბებს შორის გამორჩეულია 9 კმ სიგრძისა და 15 მ დიამეტრის გვირაბი, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდი, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთი უნიკალური იქნება.**

**„ახალი გზით ხადის ხეობის 10-მდე სოფლის მოსახლეობა ზამთარში შეინარჩუნებს კავშირს გარესამყაროსთან. გზა აღარ ჩაიკეტება და სოფელში მცხოვრებლებს ექნებათ წვდომა ყველა საჭირო და აუცილებელ მომსახურებაზე.**

**ზამთარში აღარც სატრანზიტო მოძრაობა შეიზღუდება, გაიზრდება ტვირთბრუნვა, აშენდება გუდაურამდე მისასვლელი 5 კმ-იანი გზა და ტურისტული ცენტრი, რაც კომფორტულს და უსაფრთხოს გახდის გადაადგილებას და გაზრდის რეგიონის ტურისტულ პოტენციალს.**

**ახალ გზაზე დაცული იქნება გადაადგილების უსაფრთხოების ყველა საჭირო სტანდარტი და შემცირდება გადაადგილების დროც. თუ ამჟამად ქვეშეთიდან კობამდე მგზავრობას 1 საათამდე სჭირდება (ზამთრის პერიოდში - უფრო მეტიც) და ზვავსაშიშროებიდან გამომდინარე, ხშირად მოძრაობა იკრძალება კიდეც, პროექტის დასრულების შემდეგ, მონაკვეთის გავლას მხოლოდ 15 წუთი დასჭირდება. თბილისი-გუდაურის მიმართულებით გადაადგილების დროც 2 საათის ნაცვლად, 1 საათი და 30 წუთი გახდება. თბილისი-სტეფანწმინდის მიმართულებით გადაადგილებას კი, 2 საათი და 30 წუთის ნაცვლად, 1 საათი და 45 წუთი დასჭირდება.**

**ქვეშეთი-კობის გზის პროექტი აზიის განვითარებისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკების მხარდაჭერით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 1.2 მილიარდი ლარია. პროექტის დასრულება 2024 წლისთვის იგეგმება“...**

# უკანონობა უკრაინის სასარგებლოდ!

## საქართველომ უკრაინას შესაბამისი ნებართვების გარეშე საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების უფლება მისცა



**როგორც „კომერსანტს“ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში განუცხადეს, სააგენტომ გაითვალისწინა უკრაინული მხარის თხოვნა და მათ სატრანსპორტო საშუალებებს და ეკიპაჟებს საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვების გარეშე, ორმხრივი და ტრანზიტული საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების საშუალება მისცა.**

უწყებაში განმარტავენ, რომ 2022 წლის 14 დეკემბერს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ უკრაინის საზოგადოების, ტერიტორიული და ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრის მოადგილის წერილი მიიღო, რომლითაც უკრაინელი ჩინოვნიკი უკრაინაში რეგისტრირებულ სატვირთო გადამზიდავებისთვის, ქართული ნებართვების გარეშე, უკრაინის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე ორმხრივი და ტრანზიტული საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების საშუალებას სთხოვდნენ. (წერილში აღნიშნული იყო, რომ უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულებით უკრაინის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გახანგრძლივდა 2023 წლის 19 თებერვლამდე)

**„სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ გაითვალისწინა უკრაინული მხარის თხოვნა და მისცა შესაძლებლობა მათ სატრანსპორტო საშუალებებს და ეკიპაჟებს, საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე, საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელონ ორმხრივი და ტრანზიტული საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვები შესაბამისი ნებართვების გარეშე“,** – განუცხადეს „კომერსანტს“ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში.

№11. ორშაბათი, 30 იანვარი, 2023 წელი.



# ჩვენი პირველი მოთხოვნაა, დაიწყოს გამოძიება და გაირკვეს, რა გარიგება ჰქონდა სააკაშვილს პუტინთან?!



## ლევან მამალაძე:

**საზოგადოებრივი პლატფორმა, „დაიცავი მშვიდობა“ პროკურატურისგან პასუხებს ელოდება. ორგანიზაციის თავმჯდომარის, ლევან მამალაძის განცხადებით, წინა ხელისუფლებამ ქვეყანას მოუტანა ოკუპაცია, რუსეთთან დანაშაულებრივი გარიგებები. შესაბამისად, მას მიაჩნია, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება სწორედ სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულის მიმართულებით უნდა დაიწყოს.**

**– ბატონო ლევან, თქვენ მიმართეთ პროკურატურას 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების შესახებ. ძალიან ბევრი კრიტიკოსი გამოგიჩნდებათ, რატომ დღეს და არა უფრო ადრე? როგორ ფიქრობთ, მართლაც დაგვიანებული ხომ არ არის პროკურატურისთვის მიმართვა? ცხადია, პროკურატურას ჰქონდა საკმარისი დრო, რომ აგვისტოს ომის გამომწვევ მიზეზებზე და ფაქტებზე დაეწყო გამოძიება...**

– გეთანხმებით, რომ პროკურატურას უნდა დაეწყო გამოძიება და ეს მიზეზები, რატომ არ დაიწყეს გამოძიება, ცალკე შესასწავლი საკითხია. მნიშვნელოვანი დეტალია ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მრავლგზის მივმართე პროკურატურას იგივე ჩემს საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ პროკურატურამ არ მომცა საშუალება, რომ კანონით მესარგებლება და ეს, ალბათ, რაღაცაზე მეტყველებს. არ მინდა პირდაპირი პარალელი გავავლო, მაგრამ არის გარკვეული განცდა იმისა, რომ იქ არიან ისეთი პირები, რომლებიც ან თვითონ მონაწილენი არიან გარკვეული დანაშაულებრივი პროცესის, ან მფარველობის, ან თვითონ ხელს უშლიან ამ პროცესს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხების გამომწვევ მიზეზებს.

**– თქვენ არ სწავლობთ უშუალოდ ომს, არამედ მარცხის გამომწვევ მიზეზებს?**

– სხვადასხვა ინსტანციებში დამთავრდა საქმის შესწავლა. მაგალითად, ჰააგის სასამართლომ, ჰააგის შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მეშვეობით შეისწავლა საკითხი, დადო დასკვნა და აქ კონკრეტულად სამხედრო და ჰუმანიტარული დანაშაულის კითხვით საქართველოს მხარეს პრეტენზიები არ დაუდასტურდა. რამდენიმე რუსი გენერალი არის დადანაშაულებული, რომლებმაც სამხედრო დანაშაული ჩაიდინეს. ჰააგის ტრიბუნალი სწავლობს მხოლოდ სამხედრო და ჰუმანიტარულ დანაშაულს. ეს ერთი საკითხია, რაზედაც ჩვენ გამოძიებას არ ვითხოვთ და ამ საკითხს ჩვენ არ ვაყენებთ, ეს დასრულებული თემაა. ჩვენ ვითხოვთ შევისწავლოთ მარცხის მიზეზები და სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რამაც მოგვიტანა უმძიმესი შედეგები.

– პირველი ნაწილია – რა ხდებოდა ომის წინ, როცა სააკაშვილის ხელისუფლება დიდი რაოდენობით აწარმოებდა იარაღის შემოტანას უკრაინიდან, შემდგომ ეს იარაღი, ძირითადად, მიედინებოდა სირიაში, სადაც მიმდინარეობდა ისლამური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების ომი. იქ საკმაოდ მაღალ ფასად იყიდებოდა იარაღი, რომელიც საქართველოს ბალანსზე იყო. ანუ, თავდაცვის სისტემაში იყო მოქცეული - ეს ხდება ომის წინ. შემდგომ ეს



> პირველ რიგში, რა გარიგება ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს როგორც პრეზიდენტს და მთავარსარდალს რუსეთთან და პუტინის რეჟიმთან? რა გარიგება ჰქონდა სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს რუსეთის ხელისუფლებასთან? რა იყო იმის გამომწვევი მიზეზი, რომ მათ უბრძოლველად დაუთმეს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი? ხელუხლებელი, ასეული მილიონით დირებულების ნატოს ახალი შეიარაღება გადასცეს რუსებს და პირადად სააკაშვილმა შეუქმნა ყველანაირი ლეგიტიმური პირობა, რუსეთს ეღიარებინა ოკუპირებული ტერიტორიები – ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი.

**– ეს ფაქტები მყარდება კონკრეტული მტკიცებულებებით?**

იარაღი რაღაცით ხომ უნდა ჩამოეწერათ და ამის ერთ-ერთი საშუალება იყო ომის წარმოება, რომ დაეფარათ დანაშაულებრივი კომერციული გარიგება, რასაც იარაღთან დაკავშირებით სააკაშვილი და მისი წარმომადგენლები აწარმოებდნენ.

**– ბატონო ლევან, საკმაოდ მნიშვნელოვანი ბრალდებაა და, ალბათ, ამის მტკიცებულებაც გექნებათ, რა ფაქტებს ეფუძნება თქვენი განცხადება?**

– ჩვენ არ ვართ საგამოძიებო ორგანო, მაგრამ ეს არის კონკრეტული მონაცემები და ფაქტები, რომელიც არსებობდა და ეს უნდა გამოიძიოს პროკურატურამ. თუკი ადამიანს განსაზღვრული აქვს, რომ იმ ტერიტორიიდან რუსები უნდა გაიყვანოს, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტი და პიროვნება მოიქცეოდა აბსოლუტურად სხვანაირად. რუსებს აგვისტომდე ორი თვით ადრე დაუმთავრდათ სამშვიდობო ძალების მანდატი და ამ დროს სააკაშვილი უგრძელებს ამ მანდატს ომამდე ორი თვით ადრე. არსებობს ხელშეკრულება, სადაც პირდაპირ წერია, რომ თუკი სამშვიდობო ძალებს რამე საფრთხე დაემუქრათ, რუსეთს ეძლევა საშუალება შეიარაღებული მოქმედება განახორციელოს. ანუ, სამშვიდობოების დაცვის მოტივით განახორციელოს სამხედრო ღონისძიება. ანუ, სააკაშვილმა ლეგიტიმური უფლება დაუტოვა მათ.

**– როგორ ფიქრობთ, ეს რატომ გააკეთა, რატომ გაუგრძელა მანდატი რუსეთის ე.წ. სამშვიდობოებს?**

– როგორც კი რუსეთს დაუმთავრდა მანდატი, სახელმწიფოებრივად მზრუნველი ადამიანი მიმართავდა ეუთოს, ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიმართავდა გაეროს შესაბამის სტრუქტურებს, რომ უკვე საერთაშორისო სამშვიდობო ძალები ჩანაცვლებულიყო, რაც აბსოლუტურად სხვა ვითარებას შექმნიდა. არც ერთი მცდელობა ამისი სააკაშვილს არ გაუკეთებიაა. პირიქით, რუსებს მისცა საშუალება, რომ ემოქმედათ და ჯარები შემოეყვანათ. ვიცით, რომ ამას მოჰყვა საომარი მოქმედება და თვითონ სააკაშვილის ხელისუფლებამ მოაწერა ხელი სტრასბურგის რეზოლუციას, სადაც დადასტურებულია, რომ საქართველომ დაიწყო ომი.

პრინციპული არაა ვინ დაიწყო ომი, საქართველომ ყოველთვის იცოდა, რომ აგრესია მოდიოდა ჩრდილოეთიდან, მაგრამ აქ რომ თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ყოფილიყო ჩართული, ასეთი ორდღიანი ომი არ იქნებოდა. ჩვენ არც ჯარი გვყავდა, არც იარაღი, მაგრამ წელიწადზე მეტი გავუძელით რუსეთის აფხაზეთში შემოტევას.

2008 წელს ჯარიც იყო, ნატოს შეიარაღება და შესაბამისი სტრუქტურებიც იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ორ დღეში წავაგეთ. თავდაცვის სამინისტრო და გენერალური შტაბი საომარ პროცესში ჩართული არ ჰყავდათ. აბსოლუტურად სხვა ხალხი იყო ჩართული. უფრო მეტი მონაცემები მოდის, რომ თვითონ ოფიცრებს და შენაერთების ხელმძღვანელებს რაციები არ უმუშავებდათ და ინფორმაციებს არ აწვდიდნენ რა უნდა გაეკეთებინათ, ანუ მიატოვეს.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ წაიყვანეს ამ მიმართულებით პროცესი?**

– თავდაცვითი პროცესი არ იყო დაგეგმილი. სულ რაღაცა გარიგების ფორმატში იყო. ამას ემატება ერთი საინტერესო დეტალი. ახლა ამბობენ, რომ „ბუკები“ დააყენესო. არა, არანაირი „ბუკები“ არ დაუყენებიათ. თვითმხილველები ამბობენ, რომ „ბუკებს“ საერთოდ არ უმუშავიათ და არც იყო, რადგან გადაყიდული იყო. როდესაც სამხედროები კვადროცლიკებით მოძრაობდნენ სრულიად შემთხვევით „პეჩერკას“ სისტემით ჩამოაგდეს რუსეთის თვითმფრინავი. იმასაც გვეუბნებიან, რომ რადიოგადაცემის საშუალებით რუსები აღშფოთებას გამოთქვამდნენ, საიდან, როცა არავის არ უნდა ესროლა ჩვენთვისო. ანუ, ესეც ხომ დეტალია იმისა, რომ დიდ გარიგებასთან გვქონდა საქმე!

დავაკვირდეთ სააკაშვილის ქმედებას, როგორ ამზადებდა ამ ყველაფერს. კოდორში 2006 წლიდან გამოდევნა ხალხი, ვინც იცავდნენ ხეობას, დევნილებად აქცია და მტრებად გამოაცხადა. კოდორს დაარქვა ზემო აფხაზეთი. ყველას კარგად გვახსოვს, რომ კოდორის ხეობაზე პრეტენზია აფხაზებს არ ჰქონდათ, რუსებიც ვერაფერს აკეთებდნენ. ანუ, ის პლაცდარმი, რომელიც გაგვაჩნდა ზემო აფხაზეთში, პოლიტიკური სახელი მისცა სააკაშვილმა. პრინციპში, იგივე გააკეთა ახალგორის მიმართულებით. რა არის ეს, თუ არა სამშობლოს ღალატი და სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული?!



იხ. 9 გვ.

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:**

| საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება | |
|---|---|
| სპეციალობა | ვაკანსია |
| საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების ისტორია | 1 |
| ფსიქოლოგია | 1 |
| **საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება** | |
| სპეციალობა | ვაკანსია |
| ჰიდროტექნიკური ნაგებობები | 1 |
| ინფორმაციის დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი | 1 |
| **მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება** | |
| სპეციალობა | ვაკანსია |
| ფიზიკა | 1 |
| მათემატიკა | 1 |

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო და კერძო ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად):

- აკადემიის ნამდვილი წევრის (წევრების) წარდგინება (დედანი), დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და სველი ბეჭდით, ან სამეცნიერო დაწესებულების, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების, კერძო ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების წარდგინება (დედანი, დაბეჭდილი ტიტულოვან ბლანკზე) სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და დაწესებულების სველი ბეჭდით;
- ფერადი ფოტო 4/6;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დამოწმებული ნოტარიულად);
- მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV);
- ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით);
- კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება დარგის სპეციალისტის მიერ;
- კანდიდატის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) პირადად აკადემიკოსობის კანდიდატის მიერ.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის მიიღება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2023 წლის 30 იანვრიდან 1 მარტის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტი, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2 93-29-86; 577 40-61-51). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (www.science.org.ge), რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს CD დისკზე ჩაწერილი კანდიდატის CV და ფოტოსურათი.

**შენიშვნა:** დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**



# მეცნიერული ღვაწლი „ერის მეჭურჭლეთ-უხუცესისა“!



## ექსკლუზიური ინტერვიუ ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის მთავარ რედაქტორთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან როინ მეტრეველთან.

**– ბატონო როინ, გასრულდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, „ერის მეჭურჭლეთუხუცესის“ ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემა. მასში სრულყოფილადაა წარმოჩენილი დიდი მეცნიერის და მამულიშვილის ცხოვრება და შემოქმედება. თორმეტტომეულს წინ უძღოდა 2014 წელს დასტამბული შესანიშნავი კრებულის „დიდი ექვთიმეს“ გამოცემა, რომელშიც დაიბეჭდა ქვეყნის წამყვან მეცნიერთა სტატიები, უმნიშვნელოვანესი საარქივო მასალები (მათი უმრავლესობა დაბეჭდილია პირველად!), რომლებიც ნათელს ჰფენს დიდი ქართველის მრავალმხრივ ღვაწლს. რეალურადაა წარმოჩენილი ქვეყნიდან გატანილი განძის საქართველოში დაბრუნების ისტორია.**

**– თქვენ, როგორც ამ უიშვიათესი გამოცემების მთავარ რედაქტორს, რა გრძნობა გეუფლებათ, კმაყოფილი ხართ თუ არა შემოქმედებითი ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობით?**

– პირდაპირ გეტყვით, რომ ექვთიმე თაყაიშვილი (წმ. ექვთიმე ღმრთისკაცი) ერთი მთლიანი, განუყოფელი ფენომენია, დიდი მეცნიერი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, ქართველი ერის სიამაყე. ხაზი უნდა გავუსვათ, იმ ფაქტს, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა ჩააყენა საქართველოს ისტორიის სამსახურში მდიდარი ქართული დოკუმენტური მასალა, ეპიგრაფიკული ძეგლები, ისტორიული ხელნაწერები, ანდერძ-მინაწერები. მან უდიდესი ამაგი დასდო ჩვენი მატერიალური კულტურის (განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს) ძეგლების კვლევას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესწავლით, ანალიზით ექვთიმემ რეალურად შეუწყო ხელი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებას.

რაც შეეხება თორმეტტომეულის გამოცემის შემოქმედებით ჯგუფს, გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. კარგა ხანია საქართველოს საზოგადოებას, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ჩემს კოლეგა ისტორიკოსებს მსგავსი მონუმენტური სამეცნიერო ნაშრომი არ მიუღიათ. „დიდი ექვთიმე“ და თორმეტტომეული პოპულარული ენით დაწერილი წიგნებია და მისი წაკითხვა არ გაუჭირდება საქართველოს დიდი ისტორიით დაინტერესებულ სხვადასხვა თაობებს.

**– თანაც, ბატონო როინ, ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც დიდი მეცნიერი და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ნიმუშია სამშობლოსთვის თავდადების და უანგარო სიყვარულისა, ის სიკეთის, ზნეობის, პატიოსნების, მოკრძალების, მიტევების, უტეხი სულის მაგალითია...**

– დიახ, ნამდვილად ასეა. ექვთიმე თაყაიშვილი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და გვერდით დაუდგა ქართული მეცნიერების სახელოვან წარმომადგენლებს, რომელნიც ეროვნული ისტორიის შესწავლისა და გამომზეურებისთვის იღვწოდნენ. ექვთიმე თაყაიშვილმა, როგორც გითხარით, პირველმა ჩააყენა საქართველოს ისტორიის სამსახურში მდიდარი ქართული

დოკუმენტური მასალა, მანამდე შეუსწავლელი ძველი ქართული ისტორიული და ლიტერატურული ხელნაწერები და მათი ანდერძ-მინაწერები, ჩვენი ძვირფასი მატერიალური კულტურული ძეგლები.

ყოველივე ამით მეცნიერმა ნიადაგი მოუმზადა ქართული ისტორიული მეცნიერების აღმავლობას. ლეგენდად იქცა დიდი მამულიშვილისა და მკვლევრის ღვაწლი, უმძიმესი შრომა, მეცნიერული მოღვაწეობა, რომელსაც შესწირა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში დაფერფლილი საკუთარი სიცოცხლე. საყოველთაოდაა აღიარებული ექვთიმე თაყაიშვილის მოწამეობრივი ცხოვრების ამბავი. ამიტომაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია-II თაოსნობით 2002 წელს საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და უწოდა მას ექვთიმე ღმრთისკაცი.

**– როგორც თქვენ არაერთხელ გითქვამთ, ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედება თავად თვალნათლივ მეტყველებს მეცნიერის მრავალმხრივ ნიჭიერებაზე – წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, ეპიგრაფიკის მკვლევარი, მიწაში მძრომი, ანუ მთხრელი არქეოლოგი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების, ისტორიული გეოგრაფიისა და სამართლის ისტორიის შემსწავლელ-შემფასებელი. გამოდის, რომ ის იყო ჭეშმარიტი ისტორიკოსი, ამ სიტყვის უფართოესი გაგებით.**

– სწორედ მისი ეს მრავალმხრივობა გახლავთ განსაცვიფრებელი. რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს დაგისახელებთ. ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მოვლენა იყო ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით 1907 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა გახლდათ. ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოების დაარსების უმალ შემოიკრიბა მთელი ქართული ინტელიგენცია (მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, სასულიერო პირები). საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ოფიციალურ საბუთებში მოიხსენიებოდა, როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“. საზოგადოებამ გამოსცა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“.

მოგეხსენებათ, განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი იყო უნივერსიტეტის დამფუძნებელთა ჯგუფში და მისი გახსნის დღიდან (1918 წლის 26 იანვარი) უმალ დაიწყო ლექციების კითხვა (1918 წლის 26 მაისს მეცნიერების დოქტორის ხარისხი მიენიჭა). მეცნიერმა ბევრი რამ გააკეთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფრთებქვეშ (იგი ამ საზოგადოების გამგეობის წევრი იყო). მისი ფართო შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი გახლდათ 1890 წელს გამოცემული „სამი ხრონიკა“. მას მოჰყვა „წმიდა ნინოს ცხოვრება“...

**– ბატონო როინ, როგორც ამ თორმეტტომეულის ფურცლებიდან დასტურდება, ექვთიმე თაყაიშვილმა ბევრი ახალი, ადრე უცნობი პირველხარისხოვანი, მართლაც უიშვიათესი ძეგლი აღმოაჩინა...**

– დიახ, მარტოოდენ ექვთიმეს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების აღმოჩენა რად ღირს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საგულისყურო იყო, როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით (საერთოდ, მეცნიერმა ცნობები 24 ხელნაწერის შესახებ შეკრიბა). ექვთიმე თაყაიშვილის მონაპოვარ ხელნაწერთა შორის მნიშვნელოვანია „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც იყო სახელმძღვანელო დოკუმენტი ხელისუფალთათვის და საერთოდ ყველა მოხელისთვის. ამ ძეგლის საშუალებით შეისწავლება ძველი საქართველოს წეს-წყობილება, სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრება და შინაგანი ორგანიზაცია.

ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პარლამენტის საქმიანობაში. იგი თავმჯდომარის მოადგილე („თავმჯდომარის ამხანაგი“) იყო და მისი უშუალი თაოსნობით ბევრ ეროვნულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. თორმეტტომეულში წარმოდგენილია მეცნიერული შრომები ე.წ. „თურქეთის საქართველოზე“ (საქართველოს ეს სამხრეთი ნაწილი ამჟამად ხომ თურქეთის საზღვრებშია მოქცეული). რუსეთის იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ესენია: ყარსის ოლქის ორი „ოკრუგი“, არტაანისა და ოლთისის, აგრეთვე ბათუმის ოლქის ნაწილი. ექვთიმე თაყაიშვილმა სამხრეთ საქართველოში პირველად 1902 წელს იმოგზაურა. 1907 წელს მნიშვნელოვანი ექსპედიცია მოაწყო. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი





კალგინი და ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზენი. გამოიკვლიეს არტაანის ოლქის, კოლას რაიონის ძეგლები და დაამთავრეს ოლთისის ოლქის შესწავლა. 1917 წელს მესამე ექსპედიცია შედგა. თაოსანი საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება იყო. მოიწვიეს ალექსი კალგინი (სამოქალაქო ინჟინერი), მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, მოხალისე ხუროთმოძღვარი ილია ზდანევიჩი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი და შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელიც იმხანად მხატვრობდა. ამ მოგზაურობის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ეჩეჩის ტაძარი, სოფელ სოხთოროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა. გამოცემაში შეტანილია ექვთიმე თაყაიშვილის ნარკვევი „სამუსულმანო საქართველო“, სადაც იმ პერიოდის საქართველოს ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი.

დავსძენ მხოლოდ ერთს: რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონდეს ერის ისტორიისა და კულტურისადმი ამ ადამიანს, რომელიც მტკივანი ფეხით, სუსტი ჯანმრთელობით, ამდენს დადიოდა, არ ერიდებოდა არავითარ დაბრკოლებას და პირნათლად ახორციელებდა მიზანს, რომელიც ერთხელ დაისახა.

**– ბატონო როინ, თქვენ გამოკვეთილად, ხაზგასმით აღნიშნავთ გამომცემლობა „არტანუჯის“ დამსახურებას ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა ამ თორმეტტომეულის გამოცემაში...**

– გამომცემლობის კეთილი საქმიანობის აღნიშვნასთან ერთად მადლობა უნდა გადავუხადოთ ცნობილ ისტორიკოსს ბუბა კუდავას და ცალკეულ პიროვნებებს, რომელთა მხარდაჭერით, მატერიალური დახმარებით შესაძლებელი გახდა თორმეტტომეულის მაღალ დონეზე გამოცემა.

**– მოდით, ჩვენს მკითხველსაც გავაცნოთ თორმეტტომეულის გამოცემის სულისჩამდგმელები...**

– მადლობა უნდა მოვახსენოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, რომლის მხარდაჭერითაც წახალისდა თორმეტტომეულის გამოცემა. თხზულებათა პირველი ორი და მეხუთე ტომი ქ. თბილისის მერიის, პირადად კახა კალაძის თანადგომით გამოიცა, მესამე და მეოთხე ტომი საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა დააფინანსა. მეექვსე ტომის სპონსორი ბანკ „თიბისის“ პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე იყო, VII ტომის გამოცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რექტორი გიორგი შარვაშიძე) ითავა, მერვე ტომი – კავკასიის უნივერსიტეტმა (რექტორი კახა შენგელია). მეცხრე ტომი ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის თანადგომით გამოიცა. მეათე ტომი-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააფინანსა. მეთერთმეტე და მეთორმეტე ტომის გამოცემა უზრუნველჰყო ჩვენი აკადემიის უცხოელმა წევრმა ხოშბახტ ბაგი ოღლი იუსუფზადემ („სოკარის“ – ვიცე-პრეზიდენტი).

ამ პიროვნებათა დასახელება და წარმოჩენა დიახაც საჭიროა, ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემის ნამდვილი მოამაგენი.

**– თვით ბატონი ექვთიმე, თავისი მწირი ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად, მაინც ახერხებდა საკუთარი უიშვიათესი ნაშრომების, აღმოჩენების და ისტორიული დოკუმენტების გამოცემას. ხომ ასეა?!**

– დიახ, ასეა. თორმეტტომეულში გამოქვეყნდა მასალა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის დროს არის შექმნილი. მეტად მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ექვთიმე თაყაიშვილის დიდი ძალისხმევით შექმნილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მოღვაწეობის ჟამს (1890წ) ექვთიმემ გამოსცა „სამი ხრონიკა“ და „წმიდა ნინოს ცხოვრება“. ცხადია, ეს ნაშრომებიც შევიდა თორმეტტომეულში.

ექვთიმე თაყაიშვილს ზოგიერთი ნაშრომი შესრულებულია აქვს რუსულ ენაზე. მაგალითად „Христианслие памятники“ (Тифлисская губерния. Карсская область). სარედაქციო კოლეგიამ ჩათვალა, რომ ასევე დედნისეული ყველა ნიშნის დაცვით დაბეჭდილიყო ეს მასალა. მიგვაჩნია, რომ ის დიდი ღვაწლი, რაც მეცნიერს მიუძღვის „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტების შესწავლაში, ჩვენ გავითვალისწინეთ და მეტად საინტერესო გამოვიდა ტომი, სადაც დიდი მეცნიერის მიერ რედაქტირებული მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ დაიბეჭდა.

მადლობა მინდა მოვახსენო გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრებს: ნათელა ვაჩნაძეს, არჩილ კოხრეიძეს, ბუბა კუდავას და გოჩა საითიძეს, რომლებიც საერთო სარედაქციო-სამეცნიერო საქმესთან ერთად ცალკეული ტომების რედაქტორებიც არიან.

აღნიშვნის ღირსია საგამომცემლო ჯგუფის წევრების (ე. ბაიდოშვილი, ი.ბერიძე, ნ. გორდულაძე, ლ. თაქთაქიშვილი, ნ. თომაძე, მ. კასრძე, დ. მაისურაძე, ი. მჭედლიშვილი, თ. პაპუაშვილი, ვ. ტუღუში, ი.ხელაია) ბეჯითი საქმიანობა.

**– ამ მეთორმეტე ტომით დასრულდა ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედებაზე მუშაობა?**

– კარგია, რომ ეს შეკითხვა დამისვით. გვინდა ვაცნობო ჩვენს მკითხველ საზოგადოებას, რომ თორმეტტომეულზე მომუშავე ჯგუფი არ წყვეტს საქმიანობას. ვფიქრობთ, კიდევ აღმოჩნდება მასალები ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედებაზე. ამ შემთხვევაში აუცილებლად შევეცდებით შევისწავლოთ, დავაკვირდეთ, განვსაჯოთ და თუ ამას საჭიროდ ჩავთვლით, დამატებითი ტომი გამოვცეთ კიდეც!..

**– დიდი მადლობა. წარმატებებს გისურვებთ.**

**ესაუბრა**
**სპარტაკ ქობულია**

# საუკუნის ენერგეტიკოსი



# გიორგი გიგიბერია – 100

ენერგეტიკის ღვაწლმოსილ მუშაკს, ენერგეტიკისა და ომის ვეტერანს, ენერგეტიკის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, ბატონ **გიორგი გიგიბერიას** 100 წელი შეუსრულდა.

ბატონი გიორგი დაიბადა 1923 წლის 31 იანვარს ქ.თბილისში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე 1940 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც გაწვეული იყო მეორე მსოფლიო ომში. 1945 წელს დემობილიზაციის შემდეგ, სწავლა განაახლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1950 წელს წარმატებით დაამთავრა და სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1953 წლიდან ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელია და აქვე დაიცვა ტექნიკურ მეცნიებათა კანდიდატის ხარისხი, მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალი მეცნიერული კვლევა ჰიდრავლიკურ ნაგებობებსა და ჰიდროენერგეტიკაში, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა ენგურჰესის, ხრამჰესების, ჟინვალჰესის, ვარციხეჰესების პროექტირებაში და მათი ექსპლუატაციის საკვანძო საკითხებში.

აღსანიშნავია ბატონი გიორგის მიერ სირიის არაბთა რესპუბლიკაში, სადაც მივლინებული იქნა 1976-1979 წ.წ. – ჰიდროლოგიურ კვლევებზე ჩატარებული სამუშაოები. გამოქვეყნებულ აქვს 25 უაღრესად აქტუალური ნაშრომი და მრავალი საინტერესო გამოგონება.

მშვიდობიან შრომის ფრონტზეც ბატონმა გიორგიმ კვლავ დაიმსახურა მრავალი ჯილდო, მათ შორის ღირსების ორდენი.

ჩვენო საყვარელო ბატონო გიორგი, თუმცა შეუმჩნევლად გაილია თქვენ მიერ შრომაში დახუნძლული წლები, მაგრამ თქვენი ჭაბუკური შემართება და ოპტიმიზმი ახლაც მაგალითის მიმცემია მომავალი თაობებისთვის.

ბატონო გიორგი, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 100 წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ბედნიერებას თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

# ევროპას აწყობს!..



**ევროპული გემები კვლავ ახორციელებენ რუსეთიდან მილიონობით ტონა ნიადისეული საწვავის ექსპორტს და უკრაინაში ვლადიმირ პუტინის ომისთვის მნიშვნელოვან სახსრებს უზრუნველყოფენ.**

5 დეკემბერს ევროკავშირმა რუსეთის ნედლი ნავთობის ექსპორტზე ემბარგოს აღსრულება დაიწყო. ერთი თვის შემდეგ, Investigate Europe-ისა და Reporters United-ის გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ ნაბიჯს შეზღუდული გავლენა აქვს: მოსკოვი კვლავ დიდ მოგებას იღებს, ხოლო ევროპული ფირმები ხელს უწყობენ ვაჭრობის დიდ ნაწილს. მსხვილი ბერძნული გემთმფლობელები კვლავ დომინირებენ ამ ვაჭრობაში. ამასთან, გემებმა, რომლებიც ოპერირებდნენ გერმანიაში, მონაკოში, კვიპროსში, დანიაში, იტალიაში, ნორვეგიასა და დიდ ბრიტანეთში, გასულ თვეში ასევე ჩვეულებისამებრ გააგრძელეს რუსეთიდან ექსპორტი.

მიღებული ზომების მიუხედავად, უამრავი ევროპული ფირმა აგრძელებს სარგებლის მიღებას რუსეთიდან წიაღისეული საწვავის გადატანით. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ვაჭრობა უკანონოა, მაგრამ ევროპის საქმიანი ურთიერთობა რუსეთთან საბოლოოდ მილიონობით ევროს მატებს კრემლის ომის ხაზინას.

**„5 დეკემბრიდან 5 იანვრამდე პერიოდში, წიაღისეული საწვავის 689 პარტიამ დატოვა რუსეთის პორტები საერთაშორისო მასშტაბით, აქედან 250 გადაზიდვა ევროპული ტანკერებით განხორციელდა“,** – ცხადყოფს ენერგეტიკისა და სუფთა ჰაერის კვლევის ცენტრისა (CREA) და Equasis-ის მონაცემები. გამოცემა აღნიშნავს, რომ სანქციებში არსებული ხარვეზი ასეთი ვაჭრობის შესაძლებლობას იძლევა, თუ ნედლი ნავთობი წარმოიქმნება სხვაგან და რუსეთიდან მხოლოდ ტრანსპორტირდება. ნოვოროსიისკისა და უსტ-ლუგას პორტები ყაზახეთიდან იღებენ ნედლ ნავთობს დიდი რაოდენობით. ნოვოროსიისკის ტერმინალი კასპიის მილსადენის კონსორციუმის (CPC) ნაწილია, რომელიც ნავთობს დასავლეთ ყაზახეთიდან თავისი მილსადენით შავი ზღვის პორტამდე აგზავნის. ევროკომისიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა უნდა აკონტროლონ აღნიშნული შეზღუდვების დაცვა.

# ვის ჯიბეში მიდის უკრაინაში გაგზავნილი ფული?

**აშშ-ის მიერ უკრაინისთვის გაწეული დახმარების კონტროლისთვის კიევში ამერიკელი აუდიტები იმყოფებიან,** – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ვიქტორია ნულანდმა სენატში მოსმენის დროს განაცხადა.

**„ადმინისტრაცია მომავალშიც კონცენტრირებული იქნება იმაზე, რომ არ დაუშვას დახმარებისა და იარაღის არამიზნობრივი გამოყენება. ჩვენ ვთანამშრომლობთ მსოფლიო ბანკთან, საკონსულტაციო კომპანია Deloite-თან და აშშ-ის სამთავრობო აუდიტორების ჯგუფთან, რომლებიც ამ კვირის განმავლობაში კიევში იმყოფებიან“,** – თქვა ნულანდმა. ვიქტორია ნულანდის თქმით, აშშ აგრძელებს უკრაინის დახმარებას რეფორმებისა და ანტიკორუფციული ზომების გატარებაში. ვიქტორია ნულანდმა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შერბილებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, აშშ მზადაა, შეამსუბუქოს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უკრაინიდან ჯარს გაიყვანს.



# მოყვარეს პირში უძრახე, ანუ უკრაინელი პოლიტოლოგის შეგონებანი

**უკრაინაში კორუფცია იმის გამო არსებობს, რომ 30 წელია, ამ მიზეზით მაღალჩინოსანი ციხეში არ ჩაუსვამთ,** – ამის შესახებ უკრაინელმა პოლიტოლოგმა, უკრაინის ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის პროფესორმა, მაქსიმ იალიმ საქართველოს პირველ არხთან ინტერვიუში განაცხადა.

**„მოსკოვის გავლენა, რასაკვირველია, არსებობს. კრემლი მუდამ იყენებს ამ ყველაფერს სათავისოდ და მომავალშიც გამოიყენებს. ის ასევე თავადაც ქმნის სკანდალებს, რომლის მიზეზები რეალურადაც არსებობს ხოლმე, როგორც ამ შემთხვევაშია. ამის ნიადაგი არსებობს და ყველაფერი უკვე დიდი ხანია, მწიფდებოდა. ყველაფერი რომ ასე უცებ მოხდა, დაგეგმილი აქციის მსგავსად, მით უმეტეს, მინისტრ რეზნიკოვის წინააღმდეგ და თან რამშტაინის ბაზაზე უკრაინის პარტნიორი ქვეყნების შეხვედრის წინ, მიუთითებს, რომ კრემლს ყურები უჩანს. თუმცა, როგორც ვთქვი, ხელისუფლება, სავარაუდოდ, ასევე აკვირდებოდა საზოგადოების რეაქციას, ისინი მიხვდნენ, რომ საკადრო გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ, რადგანაც ყველა ეს სკანდალი ერთი დღეში არ აღმოცენდა. ეს ყველაფერი გროვდებოდა და, საერთო ჯამში, მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. ამიტომ პრეზიდენტის ოფისში გააცნობიერეს, რომ საკადრო გადაწყვეტილებების მიღების გარეშე ეს პრობლემა მალე თავად პრეზიდენტ ზელენსკის რეიტინგსაც დაარტყამდა.**

**შეგახსენებთ, ასევე იყო სკანდალები ხერსონის, ზაპოროჟიეს ოლქებში, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებას უკავშირდებოდა. ამის გამო საზოგადოება ითხოვდა მაღალჩინოსნების გადადგომას და შესაბამის გადაწყვეტილებებს, თუმცა ხალხს მხოლოდ გადადგომა არ დააკმაყოფილებს. იქნება გამოძიებები, რასაც დაჟინებით ითხოვს უკრაინის საზოგადოება და თუ ვინმეს ბრალი დამტკიცდება, მაშინ ხალხი დამნაშავეებისთვის პატიმრობას მოითხოვს. პრინციპში, კორუფცია უკრაინაში რჩება სწორედ იმის გამო, რომ დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში არცერთი მაღალჩინოსანი, მაგალითად, მინისტრი, არ ჩაუსვამთ ციხეში“,** – განაცხადა მაქსიმ იალიმ. ამასთან, იალის თქმით, ის მიესალმება ხელისუფლების მხრიდან რეაგირებას, თუმცა, პროფესორის აზრით, ეს ნაბიჯები კორუფციას სრულად ვერ აღმოფხვრის.

# ტიმოშენკოსთვის ომი არ არსებობს?..



**უკრაინული მედიის ინფორმაციით, პარტია „ბატკივშინას“ ლიდერმა, იულია ტიმოშენკომ ახალი წლის დასაწყისი დუბაიში გაატარა.**

გავრცელებული ინფორმაციით, პოლიტიკოსი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო Kempinski-ს ვილაზე ისვენებდა. წყაროების თანახმად, დუბაიში ტიმოშენკო სიფრთხილეს იჩენდა. შეუძლებელი იყო მისი დანახვა სანაპიროზე. აღსანიშნავია, რომ ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე პოლიტიკოსი ქალიშვილის ოჯახთან ერთად დუბაიში გადავიდა საცხოვრებლად.

# კადიროვი დუბაიში ირუჯება, მედვედევი – თურქეთში...

**როგორც ოპოზიციური ტელეგრამ არხი წერს, იანვრის არდადეგების შემდეგ რუსული სამთავრობო ელიტა დასვენებას საზღვარგარეთ აგრძელებს. ამავე ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის პირველი პირების თვითმფრინავები რეისებს აგრძელებენ სამხრეთის კურორტებზე.**

ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა ბოლო 1 კვირის განმავლობაში ბანგკოკისა და დუბაის მონახულება მოახერხა. 24 იანვარს მისი Airbus A319 გროზნოდან აფრინდა და რამდენიმე საათის შემდეგ ტაილანდის დედაქალაქში დაეშვა. კადიროვის 80-მილიონიანი დოლარის ღირებულების ლაინერი მომდევნო ორი დღის განმავლობაში სწორედ ტაილანდში დარჩა. ჟურნალისტების ინფორმაციით, ჩეჩნეთის ლიდერს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში საკუთარი ფეშენებელური ვილა აქვს. რაც შეეხება, კრემლის ყოფილი ლიდერის მედვედევის არდადეგებს, ოპოზიციური არხი წერს, რომ რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თურქეთის ზღვისპირა სანაპიროები ძალიან შეუყვარდა. არდადეგების შემდეგ სამუშაო დღეს, 9 იანვარს მისი ლაინერი მისმა ლაინერმა თურქეთი 13 იანვარს დატოვა. **„ახლა გასაგებია საიდან აქვს მედვედევს ასეთი რუჯი“,** – წერს ოპოზიციური ტელეგრამარხი...



# ბალტიისპირელთა ვირეშმაკობები

**2022 წელს რუსმა ექსპორტიორებმა სულ მცირე 2-ჯერ გაზარდეს ბალტიის ქვეყნებში თხევადი ნახშირწყალბადის გაზის გაყიდვები, რომლის ნაწილიც შემდეგ უკრაინამ შეიძინა. ამის შესახებ რეგიონში მოქმედ ტრეიდერებსა და ტვირთგადამზიდავ კომპანიებზე დაყრდნობით Reuters-ი წერს.**

სააგენტოს ცნობით, ლატვიაში რუსული გაზის წილმა იმპორტის 90%-ს გადააჭარბა, ხოლო ბალტიის ქვეყნებში თხევადი გაზის გაყიდვების საერთო მოცულობამ 2022 წელს 331 000 ტონა შეადგინა, მაშინ როდესაც 2021 წელს ეს მაჩვენებელი 159 000 ტონას შეადგენდა. მხოლოდ დეკემბერში ლატვიამ და ლიეტუვამ უკრაინას 15 000 ტონა თხევადი ნახშირწყალბადის გაზი მიაწოდეს, რაც ამ თვეში უკრაინის მიერ იმპორტირებული თხევადი გაზის საერთო მოცულობის 15%-ს შეადგენს.

**„მიზეზი, რატომაც კიევი ბალტიის ქვეყნებისგან სავარაუდოდ რუსულ საწვავს ყიდულობს, უკავშირდება იმას, რომ რუმინეთისა და პოლონეთის მიერ შეთავაზებულ ფასთან შედარებით, ერთი ტონის ღირებულების სხვაობა 150-200 დოლარს შეადგენს“,** – განუცხადა Reuters-ს ერთ-ერთმა ტრეიდერმა. ლატვიის, ლიეტუვისა და ესტონეთის ენერგეტიკის სამინისტროებში ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვეს. აღსანიშნავია, რომ თხევადი ნახშირწყალბადის გაზი ძირითადად გამოიყენება ავტომობილებში საწვავის სახით, რუსეთიდან მისი ექსპორტი სანქცირებული არაა.

# პუტინს ძალუძს, ომი ნახევარი წლით გააჭიანუროს

**„ჩვენი პროგნოზით, კრემლი ემზადება სტრატეგიული ნაბიჯებისთვის - დიდი ალბათობით, ლუგანსკის ოლქში – რათა უახლოეს 6 თვეში დაიბრუნოს ინიციატივა და დაასრულოს უკრაინის ოპერატიული წარმატებების სერია“,** – აცხადებენ „ომის შესწავლის ინსტიტუტის“ ანალიტიკოსები. მათივე აზრით, ზაპოროჟიეს ოლქში რუსული ჯარის ქმედებები შესაძლოა მიზნად ისახავდეს უკრაინული ჯარის რამდენიმე მიმართულებით კონცენტრირებაზე, რათა შემდეგ ოკუპანტებმა შეიქმნან პირობები ლუგანსკის ოლქში იერიშისთვის, სადაც რუსეთს ბელარუსიდან მე-2 მოტომსროლელი დივიზიის ნაწილები გადაჰყავს.

**„დიდი ალბათობით, რუსეთი იერიშს ლუგანსკის ოლქში გეგმავს, თუმცა ეს ასევე შეიძლება მოხდეს დონეცკის დასავლეთით, უგლედარის რაიონში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახალი იერიში ბელარუსიდან უკრაინის ჩრდილოეთ ნაწილზე განხორციელდეს. ამ ეტაპზე კვლავ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი ბელარუსის ტერიტორიაზე დამრტყმელი ჯგუფების ფორმირებას ახდენს“,** – აცხადებენ ISW-ში.



# დონალდ ტრამპი: დაასრულეთ ეს გიჟური ომი, ეს ხომ ასე მარტივი გასაკეთებელია!

**ჯერ ტანკები იქნება, მერე – ბირთვული რაკეტები. დაასრულეთ ეს გიჟური ომი, ახლა. ეს ხომ ასე მარტივი გასაკეთებელია,** – ასე გამოეხმაურა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებას უკრაინისთვის ტანკების გადაცემის შესახებ. ტრამპმა აღნიშნული განცხადება საკუთარ სოციალურ ქსელში, truth social-ში გამოაქვეყნა. ახლახან აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას „M1 აბრამსის“ ტიპის 31 ერთეულ ტანკს გაუგზავნის.




**ლევან მამალაძე:**

# ჩვენი პირველი მოთხოვნაა, დაიწყოს გამოძიება და გაირკვეს, რა გარიგება ჰქონდა სააკაშვილს პუტინთან?!

(მეხუთე გვერდიდან)

ასევე, ნაცვლად იმისა, რომ გაეკეთებინა მოსახლეობის ევაკუაცია, პირიქით, დატოვა, რასაც შეეწირა მშვიდობიანი მოსახლეობა, რაც სააკაშვილის პირადი პასუხისმგებლობაა. 2008 წელს ევროკავშირის თავმჯდომარე იყო საფრანგეთი. საფრანგეთის პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი** ჯერ მოსკოვში ჩავიდა და შემდეგ საქართველოში.

შედგა 7-პუნქტიანი დოკუმენტი ამ პრობლემების დასარეგულირებლად. მას ეს შვიდპუნქტიანი შეთანხმება გავლილი ჰქონდა რუსებთან. მეშვიდე პუნქტში იყო ასეთი ჩანაწერი – რუსეთი იღებდა ვალდებულებას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის განხილვის გარეშე არანაირ ზომებს არ მიიღებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით.

სარკოზი თავის მემუარებში წერს, რომ პირადად სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით ამოიღეს მეშვიდე პუნქტიო. ის მუხლი ამოიღო, რომლის საფუძველზე შემდეგ რუსეთს ყველანაირი საფუძველი შეუქმნეს, რომ ეღიარებინათ ოკუპირებული ტერიტორიები, თავის პლაცდარმად ექციათ და თავისი შენაერთები ჩააყენებინათ.

**– ის, რაც იცის ლევან მამალაძემ, შეუძლებელია არ იცოდეს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. როგორ ფიქრობთ, რატომ არ აღძრა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე? სააკაშვილს ამ საქმეზე, ისევე როგორც დავითგარეჯას გასხვისების საქმეზე ბრალი არ აქვს წაყენებული და საქილიკო თემად იქცა მისი ბრალდება, ვგულისხობ პიჯაკების საქმეს. თქვენ როგორი ახსნა გაქვთ?**

– როცა ამაზე ანალიზს ვაკეთებ, რამდენიმე ახსნა მაქვს. ერთი – შეიძლება ამას ნაწილობრივ გამართლება ვუპოვო, რომ ჰააგაში მიდიოდა გამოძიება და უნდა დალოდებოდა საქართველო გამოძიების დასრულებას, მაგრამ ეს არანაირად ხელს არ უშლიდა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გამოძიება ეწარმოებინა საქართველოს მარცხის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და ამ პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში. რატომ არ გააკეთეს, ამას ჩვენ დავუბრუნდებით და ამიტომ შევქმენით ასეთი საზოგადოებრივი პლატფორმა, რომელიც ამ თემას არ მოეშვება.

რაც შეეხება ბრალდებას, 9 მილიონის პიჯაკი არავის არ უნახავს, რაც სააკაშვილმა ბიუჯეტიდან მოიპარა, მაგრამ ამას პიარმაქინაციებით დაარქვეს ის, რომ პიჯაკების საქმეზე საწყალ სააკაშვილს სჯიან. ამ დროს 2008 წლის აგვისტოს ომი არავის არ გახსენებია.

დავმარცხდით, ტერიტორიები წაგვართვეს, ქონება წაგვართვეს, ესენი მილიარდერები გახდნენ, ევროპიდან ჩამოსული 2 მილიარდ-ნახევარი დახმარება, რომელიც დევნილებს უნდა მოხმარებოდა, გააქრეს, საკუთარი თავის გამორჩენის მიზნით საქართველო გააუბედურეს და პასუხი არ უნდა აგოს ამაზე არავინ?!

**– ბატონო ლევან, გაქვთ მოლოდინი, რომ თქვენი განცხადება გახდება საფუძველი იმისა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და მიხელ სააკაშვილს წარედგინება ბრალი?**

– პასუხისმგებელი საქართველოს მარცხზე, რუსეთთან გარიგებასა და იმ უბედურებაზე, რაც დატრიალდა, პირველ რიგში არის მაშინდელი პრეზიდენტი და მთავარსარდალი. ეს კარგად უნდა ვიცოდეთ. პროკურატურას გამოსავალი არ აქვს. მათ საქმე უნდა აღძრან და დაიწყონ გამოძიება. ჩვენი პირველი მოთხოვნაა, დაიწყოს გამოძიება და გაირკვეს, რა გარიგება ჰქონდა სააკაშვილს პუტინთან.

**– თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რა გარიგება შეიძლება შემდგარიყო სააკაშვილსა და პუტინს შორის, რომელმაც სხვათა შორის გორდონთან ინტერვიუში თქვა, რომ ორმოცჯერ შევხვდი პუტინსო. ოფიციალურად სულ 7 შეხვედრა შედგა, დანარჩენი იყო არაოფიციალური...**

– ამიტომ ვითხოვთ ჩვენ გამოძიების ჩატარებას. ფაქტს ხომ ვხედავთ, რა ჩაიდინა სააკაშვილმა და როგორ შეუქმნა რუსებს ყველანაირი პირობა, რომ ეს ტერიტორიები დაეკავებინა და შემდეგ ეღიარებინა. ეს ხომ ფაქტებია, რომელიც დასტურდება დოკუმენტებით, არსებული ხელშეკრულებებით და გარიგებებით. დანარჩენი, შიგნით რა კომერციული ინტერესები იყო, ეს ყველაფერი გამოძიებით უნდა დადასტურდეს და ეს უნდა გააკეთოს პროკურატურამ.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ ქათამაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ ქათამაძე (პ/ნ 61009011887), წალკა, სოფელი იმერა

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წალკა, სოფელი იმერა (საკადასტრო კოდი: 85.02.28.175 https://naprweb.reestri.gov.ge/- /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28237.20 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 30 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 13 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP86182823;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 861828

6. **მოვალე:** ნუგზარ ქათამაძე (პ/ნ 61009011887), წალკა, სოფელი იმერა
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP86182823; ლოტის ნომერი: 861828).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 13 თებერვლის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კადიმ ალი ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კადიმ ალი ოღლი (პ/ნ 24001006681), კასპი, სოფელი ხიდისყური

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
კასპი, სოფელი ხიდისყური (საკადასტრო კოდი: 67.07.37.233 https://naprweb.reestri.gov.ge/- /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 107606.39 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 30 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 13 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP86183023;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 861830

6. **მოვალე:** კადიმ ალი ოღლი (პ/ნ 24001006681), კასპი, სოფელი ხიდისყური;
გიაზ კიზი ხანუმ (პ/ნ 24001023582), კასპი, სოფელი ხიდისყური
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP86183023; ლოტის ნომერი: 861830).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 13 თებერვლის 10:00 საათამდე.

◉ „ბორჯომ-ბაკურიანი 25-ის" წინ



# ესტაფეტა იტალიიდან

**იტალიაში (ფრიული, ვენეცია, ჯულია) დასრულდა რიგით მე-16 ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი. შემდგომ ევროპულ ოლიმპიურ ფესტივალს-2025 წლის თებერვალში საქართველო (ბაკურიანი, თბილისი, ბათუმი) უმასპინძლებს.**

მომავალი ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას მიეძღვნა ქალაქ ტრიესტში (იტალია) გამართული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი სპიროს კაპრალოსი, გენერალური მდივანი რაფაელე პანიოცი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, ,,ბორჯომ-ბაკურიანი 2025-ის" საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მამუკა ხაზარელი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური, ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არზოლიშვილი და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ეკატერინე ორჯონიკიძე.

სპიროს კაპრალოსმა, მიესალმა რა სტუმრებს, მადლიერება გამოხატა, რომ მორიგ ევროპულ ფესტივალს საქართველო უმასპინძლებს. **„გილოცავთ ფესტივალზე გუშინ ფიგურულ სრიალში კოტე სუპატაშვილის მოპოვებულ ვერცხლის მედალს., ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მაღალ დონეზეა სპორტის რამდენიმე ზაფხულის სახეობა თქვენთან, ვიცით თქვენი სპორტსმენების წარმატებების შესახებ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ევროპულ თამაშებზე. ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში გექნებათ წარმატებები სპორტის ზამთრის სახეობებშიც - საფესტივალო ინფრასტრუქტურის შექმნა და თავად ფესტივალის ჩატარება ერთგვარი სტიმული იქნება თქვენს ქვეყანაში ზამთრის სპორტის განვითარებისათვის. საქართველო და ბაკურიანი იმიტომაც შეირჩა, რომ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ჰყავს ძლიერი და გამოცდილი ხელმძღვანელობა, რომ ამ გუნდმა 2015 წელს წარმატებით ჩაატარა ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი. ჩვენ გვჯერა თქვენი და მივესალმებით, რომ თქვენს გვერდითაა ქვეყნის მთავრობა და პირადად პრემიერ-მინისტრი"** – აღნიშნა სპიროს კაპრალოსმა.

ლერი ხაბელოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოში ფესტივალის ჩატარება შესაძლებელი გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის უშუალო ჩართულობით და მონაწილეობით. **„ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სამ ადგილმდებარეობაზე მასშტაბური და კომპლექსური სპორტული ღონისძიების ჩატარება რთული იქნება. მით უმეტეს, როცა დროის მოკლე მონაკვეთში შესაქმნელია შესაბამისი საფესტივალო ინფრასტრუქტურა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ სათანადოდ მოვემზადებით და კარგად ჩავატარებთ ფესტივალს. ამ რწმენას მიმყარებს 2015 წელს თბილისში წარმატებით ჩატარებული ზაფხულის ევროპული ფესტივალის გამოცდილება. საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, პირადად მინისტრის თეა წულუკიანის, დედაქალაქ თბილისის მერიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, დარგობრივი სამსახურებისა და უწყებების ხელმძღვანელების მხარადჭერა და თანადგომა. რა თქმა უნდა, ჩვენ თქვენი დიდი იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ ასე იქნება"** – აღნიშნა ლერი ხაბელოვმა.

მამუკა ხაზარელმა ისაუბრა „ბორჯომ-ბაკურიანი-2025"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ფორმირებასა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საფესტივალო კონტრაქტის ხელმოწერის ორგანიზებაზე **„კონტრაქტის ტექსტი ყველა მხარესთან შეთანხმებულია. ხელმოწერაც ახლო მომავალში გაიმართება საქართველოში"** - აღნიშნა მამუკა ხაზარელმა.

**დიდი პატივია, რომ ჩვენს რეგიონში, კერძოდ ბაკურიანში ორი წლის შემდეგ ჩატარდება ევროპული ფესტივალების გახსნა-დახურვის ცერემონიალები და პროგრამით გათვალისწინებული ყველა შეჯიბრება ღია თოვლზე. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ კონტინენტის ჭაბუკმა სპორტსმენებმა ბაკურიანში თავი იგრძნონ კომფორტულ ატმოსფეროში, მიეცეთ მათი საუკეთესო სპორტული შედეგების ჩვენების შესაძლებლობა და დაუბრუნდნენ მშობლიურ ქვეყნებს მდიდარი პოზიტიური შთაბეჭდილებებით., ამჯერად კი მზად ვართ მივიღოთ საფესტივალო დროშა"** -აღნიშნა ოთარ არზოლიშვილმა.

ეკატერინე ორჯონიკიძემ თავის გამოსვლაში ისაუბრა ბაკურიანზე, მის მდიდარ სპორტულ ტრადიციებზე. **„კარგი იქნება თუ საფესტივალო კონტრაქტზე ხელმოწერის თარიღი დაემთხვევა თებერვლის მეორე ნახევარსა და მარტის დასაწყისში ბაკურიანში გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატს ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკში. სიამოვნებით ვეპატიჟებით ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელობას მსოფლიოს ჩემპიონატზე – თქვენც უშუალოდ მოინახულებთ იმ ტრასებსა და ადგილებს, სადაც 2025 წელს ჩატარდება საფესტივალო შეჯიბრებები"** – აღნიშნა ეკატერინე ორჯონიკიძემ.

ქალაქ უდინეში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე საფესტივალო დროშა საქართველოს წარმომადგენლებს გადაეცათ.

◉ რაგბი ჩვენი თამაშია

# მხარდაჭერა საქართველოს!

**ამერიკის შტატის – ჯორჯიის რაგბის კავშირი 2023 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოს უქომაგებს,** – ამის შესახებ „ჯორჯია რაგბიმ" რამდენიმე დღის წინ განაცხადა.

**„ვიმედოვნებთ, რომ ბორჯღალოსნები და ჩვენი მეგობრები საქართველოს რაგბის კავშირიდან, ჩვენს შეძახილებს ოკეანის გაღმიდანაც გაიგონებენ, როდესაც მსოფლიოს თასზე გიქომაგებთ"** – დაწერა თავის გვერდზე ჯორჯიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა სტივ მეისმა.

ეს მხარდაჭერა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ 2031 წლის მსოფლიოს თასს აშშ მასპინძლობს, სადაც მანამდე ორი მასშტაბური სპორტული ფორუმი შედგება – 2026 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში და 2028 წელს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. საგულისხმოა, რომ რაგბის მსოფლიოს თასი პოპულარობითა და კომერციული თვალსაზრისით, საფეხბურთო მუნდიალისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მესამე ადგილზეა.

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ რაგბის დიდი მხარდაჭერა აქვს თავად მსოფლიო რაგბიდან, რომლის პრეზიდენტი სერ ბილ ბომონტი საქართველოს ახალ ელიტურ ტურნირებში მიწვევას ჰპირდება. მან ეს სექტემბერში, ჩვენს ქვეყანაში ვიზიტისას განაცხადა და რაგბის დაბადების 200 წლის იუბილე ამისათვის საუკეთესო დროა.



სარაგბო გეოგრაფიის გაფართოება ბილ ბომონტის საარჩევნო დაპირების ნაწილია და როგორც თავად განაცხადა – საერთაშორისო რაგბი „ჩაკეტილი კლუბი" აღარ იქნება და ის ისეთ ქვეყნებსაც მოიცავს, როგორიც საქართველოა, რომელიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ძლიერ სარაგბო ერებთან შეხვედრის შესაძლებლობას მსოფლიოს თასიდან მსოფლიო თასამდე არ უნდა ელოდოს. უფრო მეტიც, ბომონტის თქმით ტიერ 2-ის ქვეყნებს ტიერ 1-ის წარმომადგენლებთან თამაშის და „გახურების" შანსი მსოფლიოს თასის წინ უნდა ჰქონდეთ.

პრეზიდენტ ბომონტის მოლოდინები საქართველომ შარშან სრულად გაამართლა, როდესაც ისტორიაში პირველად, თანაც ზედიზედ ორჯერ დაამარცხა ტიერ 1-ის გუნდი – ზაფხულში იტალია და ნოემბერში უელსი, თანაც ეს უკანასკნელი მისსავე მოედანზე, კარდიფში 65 ათასი მაყურებლის წინაშე.

„ფრინციფალითიზე" სენსაციურ გამარჯვებამდე ბილ ბომონტი უმაღლესი დონის დელეგაციით ეწვია ჩვენს ქვეყანას და საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობას ადგილზე გაეცნო, რის შემდეგაც აღნიშნა, რომ – საქართველო განვითარების სწორ რელსებზე დგას.

**„ძალიან შთამბეჭდავია ის, რასაც საქართველოს რაგბის კავშირი აკეთებს. მას აქვს სწორი ხედვა და მსოფლიო რაგბი ქართული რაგბის გვერდით იდგება, რათა ეს სვლა ფინიშის ნიშნულამდე წარმატებით მივიდეს"** – აღნიშნა ბომონტმა. ქართული რაგბის მხარდაჭერა კონსულტაციებისა და ტრენინგების გარდა დაფინანსების ზრდასაც გულისხმობს, ხოლო რწმენას, რომ ყველაფერი გამოვა, მთავრობის, რაგბის კავშირისა და გულშემატკივრების ერთიანი ენთუზიაზმი აძლევს – **„საქართველოში მე ვნახე რაგბისადმი უდიდესი სამთავრობო მხარდაჭერა, რაც შესანიშნავი ფაქტია ვფიქრობ, იმ პირობებში, როდესაც ზედა სამთავრობო ეშელონებიდან ასეთი მხარდაჭერაა და ქვედა დონეზეც ისეთი ორგანიზებულობაა, როგორსაც რაგბის კავშირში ვხედავ, ყველაფერი აუცილებლად გამოვა".**

სამთავრობო მხარდაჭერის გარდა რაგბის განვითარებაში კერძო სექტორიც სულ უფრო მეტად ერთვება; თუკი აქამდე ეს ძირითადად ინფრასტრუქტურაში საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" და ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევა და 100 მილიონი დოლარის საქველმოქმედო ინვესტიცია იყო, წელს მას თიბისი ბანკი განახლებული და ქართული სპორტისთვის უპრეცედენტო მასშტაბის სასპონსორო ხელშეკრულებით შეუერთდება.

მსოფლიო რაგბის სრულ მხარდაჭერას წარმატების გარანტიას უწოდებს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **სოსო ტყემალაძე.** მისი თქმით, მილიონიანი დაფინანსების გარდა, მსოფლიო რაგბი კადრების, მათ შორის მწვრთნელებისა და მსაჯების გადამზადებაში, ახალი თაობის მორაგბეთა აღზრდაში, მარკეტინგსა და დაგეგმარებაში მონაწილეობს, რასაც ქართული რაგბის ბოლოდროინდელ წარმატებებში ლომის წილი მიუძღვის. ამასთან, წარმატებებში ის მხოლოდ ნაკრების ისტორიულ გამარჯვებებს არ გულისხმობს, არამედ რაგბის კავშირის ინსტიტუციურ განვითარებას, დემოკრატიული და გამჭვირვალე მართვის დამკვიდრებასაც მოიაზრებს.

მსოფლიო რაგბმა უკვე განაცხადა, რომ უმაღლესი დონის საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს და ტიერ 2-ის სხვა ქვეყნების მეტი ჩართულობისთვის ახალი, გაფართოებული ტურნირების შექმნაზე მუშაობს, რომლებიც მოიცავს და სცდება ექვს ერს. ვერსიებს შორის განიხილება ერთა თასი და ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირი 12 ქვეყნის მონაწილეობით, რომელთა შორის საქართველო და იაპონია უპირობო კანდიდატები არიან. ამ მუშაობის შედეგად ახალი მსხვილი ტურნირის გამოცხადებას ანალიტიკოსები 2024 წლიდან ელიან.

ამ ეტაპზე ახალმა მიდგომამ სამხრეთ აფრიკა მოიცვა, რომელიც წელსაც და 2024-შიც მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს. ორივე ჯერზე იქ ქართველი ახალგაზრდებისგან დიდ წარმატებას ელიან. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის, სოსო ტყემალაძის განცხადებით, მონაწილეობა უთუოდ საპატიოა, თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვება და ახალი ვარსკვლავების გამოჩენაა, რომლებიც ეროვნულ გუნდს შეავსებენ და გააძლიერებენ.

◉ მხარე

# ზეიმი ოკრიბაში

**პროფესიული კალათბურთი ტყიბულსაც ესტუმრა. საკალათბურთო კლუბი ორბი, რომელიც თბილისში დაარსდა და წლების მანძილზე „ა" ლიგაში ასპარეზობდა, დედაქალაქიდან რეგიონში გადაბარგდა და მიმდინარე სეზონიდან ტყიბულის სახელით გამოდის, შეხვედრებსაც მეშახტეთა ქალაქში მასპინძლობს – „ა" ლიგის პირველ ოფიციალურ მატჩში ადგილობრივი ორბი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის გუნდს დაუპირისპირდა.**

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე აუტსაიდერი ჰყავდა, ორბის საქომაგოდ ბევრი ტყიბულელი მივიდა და საკალათბურთო დარბაზი პირთამდე შეივსო. თამაშს დაესწრო ქალაქის მერი, დავით ჩერქეზიშვილი, ვისი დიდი დამსახურებაა ორბის ტყიბულში მიღება და ამ გუნდის მატერიალური მხარდაჭერა.



50-ნომრიანი მაისურები მიიღეს ორბის ყველაზე სტაჟიანმა წევრებმა, ლევან და ნიკა ლოლიშვილებმა, რომლებსაც გუნდში 50 ჩატარებული შეხვედრა მოუგროვდათ.

რაც შეეხება მატჩს, შეხვედრის ბედი წინდაწინ იყო ცნობილი. ორბი სუპერლიგაში გადასვლის პრეტენდენტია, რომელსაც 4 ამერიკელი ჰყავს, აწსუ კი ლიგის ერთადერთი ულეგიონერო და შესაბამისად აუტსაიდერი წევრია. შესაბამისად, საკითხავი ის იყო, რა სხვაობით იმარჯვებდა მასპინძელი. ორბმა საბოლოოდ 35 ქულით – 95:60 მოიგო და მიმდინარე გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიიპოვა". შეგახსენებთ, რომ ტყიბულის გუნდმა „ა" ლიგის პირველი შეხვედრა გორში „ივერიონთან" დათმო.

ტყიბულელებს ქუთაისელებთან დემარკუს ეიდიმ ულიდერა, რომელმაც 11 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა. 15 ქულა და 8 მოხსნა კვენტინ დევისის ანგარიშზე დაგროვდა. მარკალ ლოთსმა 13, ხოლო ნიკა ლოლიშვილმა და ირაკლი კილაძემ 11-11 ქულა მიითვალეს. ქუთაისელთაგან 23 ქულით საუკეთესო იყო ლუკა კანთელაძე.

ორბი მომდევნო მატჩს 31 იანვარს გამართავს, როცა ტყიბულში გათამაშების ლიდერ ასტრალს უმასპინძლებს.



# კრწანისის სასროლეთზე უპილოტო საფრენი აპარატების სატესტო ჩვენება გაიმართა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ორიოდე დღის წინ ქართულ-პოლონური საწარმოს მიერ განხორციელებული უპილოტო საფრენი აპარატების სატესტო ჩვენებას დაესწრო. საბრძოლო და სადაზვერვო უპილოტო საფრენმა აპარატებმა საცდელი ფრენა წარმატებით განახორციელეს.**

ქართულ-პოლონური საწარმოს – შპს „დელტა-ვეზეს მიერ WARMARTE-ისა (კამიკაძე) და FLYEYE-ის სადაზვერვო ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების სადემონსტრაციო ფრენას მხარდამჭერი ცენტრის – კრწანისის სასროლეთზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრთან ჯუანშერ ბურჭულაძესთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან ვახტანგ გომელაურთან და თავდაცვის ძალების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. სადემონსტრაციო ფრენებისთვის საჭირო მოსამზადებელი პროცედურები პოლონელმა და ქართველმა სპეციალისტებმა ერთობლივად განახორციელეს.

FLYEYE-ის უპილოტო საფრენი სისტემა მძიმე მეტეოროლოგიურ და რადიოელექტრონული ბრძოლის პირობებში, ყველა კლიმატურ ზონაში მაღალი სიზუსტის ამოცანების შესასრულებლად არის შექმნილი. სისტემა ფარული დაკვირვების შესაძლებლობებსა და სისტემაში მიღებული მონაცემების ანალიზს უზრუნველყოფს რეალურ დროში, დღისით და ღამით. WARMARTE-ი საბრძოლო ბარაჟირებადი უპილოტო საფრენი აპარატია, რომელსაც აქვს დადასტურებული ეფექტიანობა და განადგურების მაღალი სიზუსტე. მას აქვს სხვადასხვა ტიპის ქობინები. ის გამოიყენება პოლონეთის არმიაში და აგრეთვე ნატოს წევრი სხვა და არაწევრი მომხმარებლების მიერ...

შპს „დელტა-ვეზე“ საქართველოში დაფუძნდა „დელტას 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების – შპს „დელტა ინტერნეიშენალისა და WB Electronis S. A.-ის მიერ. ქართულ-პოლონური საწარმოს მიზანი უპილოტო საფრენი აპარატების აწყობაა. საწარმო წელიწადში ასეულობით დრონის წარმოებას შეძლებს. ამ ეტაპზე კომპანია WARMARTE-ისა და FLYEYE-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების საამწყობო ხაზის გამართვის პროცედურებს უზრუნველყოფს.

სამხედრო მრეწველობის განვითარების მიზნით, შპს „დელტავეზესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებაც, რომელიც რეგიონში პირველი უპილოტო საფრენი აპარატების ტრენინგცენტრის გახსნას ითვალისწინებს. ცენტრის პროფესიონალი ინსტრუქტორები თავდაცვის ძალების შესაბამის პერსონალს გადაამზადებენ.



# ივერიის მნათობი

## წმინდა კეთილმსახური თამარ მეფე

**31 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მეფე თამარის ხსენებას დღესასწაულობს. სულ რამდენიმე წელია, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით საქართველოში თამარობა აღინიშნება 31 იანვარსაც, დღეს მისი მიცვალების დღეა.**

ნიშანდობლივია, რომ მეფე თამარმა ხელისუფლების სათავეში მოსვლა საღმრთო საქმით დაიწყო. 18 წლის ასაკში თამარ მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ მღვდელმთავრებს და მამათა სიმრავლეს მან მდაბლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობის არს და არა ღმრთის მბრძოლობისა“.

თამარ მეფის დროს აიგო ბერთუბნისა და ბეთანიის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო და სხვ. თამარ მეფე მფარველობდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებსა და ცენტრებს.

ამ მოღვაწეობისთვის ქართულმა ეკლესიამ ის წმინდად შერაცხა. ყველაზე მეტი ლეგენდა და თქმულება თამარისადმია მიძღვნილი.

საქართველოში უამრავი ტაძარია მის სახელზე აგებული... მის სახელს არქმევენ მშობლები შვილებს, მის ფრესკას, რომელიც დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში ჩრდილოეთი კედლის მშვენებაა და ჩვენი მწყემსმთავრის ხელითაა შესრულებული, თაყვანს ვცემთ და ვადიდებთ ქართველები და (არა მარტო ქართველები) უცხოელებიც!

**თამარობას გილოცავთ!**

**გიული ლიპარტია**

# „სერპენსის“ პრეზენტაცია რუსთავში

**რუსთავში, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაარსებული საწარმო „სერპენსის“ რებრენდინგისა და კომპანიის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია მოეწყო. პრეზენტაციას საქართველოს მთავრობის წევრები: ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ირაკლი ქარსელაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ოთარ შამუგია, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი დოხტურიშვილი, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, დავით სონღულაშვილი, პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი და სხვა მიწვეულ სტუმრები დაესწრნენ,** – ამის შესახებ ინფორმაციას რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

**რუსთავში, ამერიკული სტანდარტის, ნავთობპროდუქციის გადამმუშავებელი ქარხანა „სერპენსის“ მშენებლობა, რომელიც აქამდე “რუსთავოილის“ სახელით იყო ცნობილი, 2018 წელს დაიწყო. საწარმოს მშენებლობისთვის, 2017 წელს, სახელმწიფომ, კომპანიას „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, რუსთავში, 585 726 ლარად შეფასებული 10 ჰექტარი მიწის ფართობი გადასცა. საწარმომ მუშაობა 2019 წლის ბოლოს დაიწყო, დღემდე, ,,სერპენსში“ განხორციელებულმა ინვესტიციამ 30 მილიონი ლარი შეადგინა. საწარმოში ძირითადად რუსთაველები არიან დასაქმებულნი. ,,სერპენსი“ გზების მშენებლობისთვის საჭირო პროდუქციას – ბიტუმს აწარმოებს და მისი ანალოგი საქართველოში არ არსებობს. ახლო მომავალში, კომპანია პროდუქციის ექსპორტზე გატანასაც გეგმავს.**

# თბილისში დევნილებს ბინები გადაეცემათ

**დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, თბილისში, იძულებით გადაადგილებულ 19 ოჯახს ოთხოთახიანი ბინები გადაეცემა.**

აღნიშნული ოჯახების სია, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. სრულად გარემონტებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საცხოვრებელი ფართები მრავალსულიან ოჯახებზე განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად განაწილდა. 2023 წელს, დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები დაიწყება. მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში კი ახალი საცხოვრებელი ფართით იძულებით გადაადგილებული 13 000 ოჯახი დაკმაყოფილდება.


„Khachapuri war das Beste“
Cem Özdemir probiert sich durch die Grüne Woche – und macht um die Tierhalle einen großen Bogen
Von Hagen Strauß
BERLIN. Frühmorgens um sieben werden auf dem Berliner Messegelände schon die ersten Kühe gewaschen. Man weiß ja nie: Politiker und Tiere, das ist eine eigene Geschichte. Früher jedenfalls. Da wurde mehr gestreichelt. Landwirtschaftsminister Cem Özdemir (Grüne) und die Regierende Bürgermeisterin Franziska Giffey (SPD) machen beim Eröffnungsrundgang der „Grünen Woche“ in Berlin einen Bogen um die Tierhalle. Stattdessen wird umso öfter gerufen: „Wohlsein!“
In Berührung kommen beide nur mit einer Schweineattrappe, anhand der man sehen kann, wie eng es manches Schwein noch hat. Özdemir will das ändern. Er, der Vegetarier, setzt auf mehr Tierwohl

# ქართული ღვინო საოცარია, ,,ხაჭაპური კი – საუკეთესო...“

**ასეთი შეფასება გააკეთა გერმანიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ფედერალურმა მინისტრმა, ჯემ ოზდემირმა საერთაშორისო გამოფენაზე „მწვანე კვირეული 2023“ (Gruene Woche 2023) ქართულ სტენდთან, სადაც მას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ უმასპინძლა, – აღნიშნულია გერმანულ გამოცემაში Allgemaine Zeitung.**

ბერლინში, სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაზე „მწვანე კვირეული 2023“ (Gruene Woche 2023), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სტენდია წარმოდგენილი. სტენდზე 16 ქართული კომპანია საკუთარ პროდუქციას გამოფენის დამთვალიერებელს აცნობს. მონაწილე კომპანიების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარები არიან.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სტენდზე წარმოდგენილმა პროდუქციამ გამოფენის მაღალი რანგის სტუმრების და ვიზიტორების განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ქართული სტენდი გერმანიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ფედერალურმა მინისტრმა, გერმანიის მწვანე პარტიის ლიდერმა, ჯემ ოზდემირმა, ბერლინის მერმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატების პარტიის წევრმა, ფრანცისკა გიფეიმ და ევროკომისარმა სოფლის მეურნეობის მიმართულებით იანუშ ვოჩიეჩოვსკიმ დაათვალიერეს. სტუმრებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ უმასპინძლა, ქართული პროდუქცია გააცნო და ქართულ ღვინოსთან ერთად, ტრადიციული კერძები დააგემოვნებინა.

გამოფენაზე ქართული აგროსასურსათო პროდუქციის წარმატებას საერთაშორისო პრესაც გამოეხმაურა; არაერთი მედიაგამოცემა: Allgemaine Zeitung, Merkur, Bietigheimerzeitung, Stuttgarterzeitung, Badische-zeitung, Morgenpost, Tageszeitung ქართული პროდუქციის შესახებ სტატიებს აქვეყნებს.

# 25 წლის შვილიშვილმა 150 000 დოლარად ბებიის მკვლელობა დაუკვეთა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ა. ს. ანგარებით, შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე თბილისში დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ანგარების მოტივით განიზრახა საკუთარი ბებიის – 1951 წელს დაბადებული ვ. ს.-ის შეკვეთით მკვლელობა. მას ამ მიზნით დაქირავებული მკვლელისთვის უნდა გადაეხადა 150 000 აშშ დოლარი. ა. ს.-მ პირს, რომელსაც უნდა შეესრულებინა მისი ბებიის მკვლელობა, დაუსახელა მსხვერპლის სახელი ასაკი, საცხოვრებელი მისამართი და ინტერნეტაპლიკაციის მეშვეობით გაუგზავნა ბებიის ფოტოსურათი. ბრალდებულმა დანაშაულის მომზადებისთვის წინასწარ გადასცა გარკვეული თანხა, ხოლო შეკვეთის შესრულების შემდგომ დაჰპირდა დარჩენილი თანხის გადახდას.**

**პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების, ასევე ფარული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ა.ს. დააკავა.**

**ოჯახის წევრის მიმართ ანგარებით, შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-109-ე მუხლის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით“,** – აცხადებენ შსს-ში.



## ისე „დაიხუჭა“, რომ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა...

**ამის შესახებ პორტალი Oddity Central-ი წერს. მათი ცნობით, 17 იანვარს, მალაიზიაში, ქალაქ პორტ-კლანგში პორტის თანამშრომლებმა ბანგლადეშიდან შემოსული გემიდან ტვირთის ჩამოღებისას ერთ-ერთ კონტეინერში გამოფიტული ბავშვი აღმოაჩინეს. მათ იფიქრეს, რომ ბიჭი მოტაცებულია და პოლიცია გამოიძახეს.**

ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა გაარკვიეს, რომ ბიჭი ბანგლადეშში, ქალაქ ჩიტაონგში ცხოვრობს. მეგობრებთან დახუჭობანას თამაშის დროს მან სატვირთო კონტეინერში დამალვა გადაწყვიტა, თუმცა ადგილობრივი პორტის თანამშრომლებმა კონტეინერი ჩაკეტეს და მალაიზიაში მიმავალ გემზე განათავსეს. ბავშვმა კონტეინერში 6 დღე გაატარა. ბიჭი კლინიკაში გადაიყვანეს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. უახლოეს პერიოდში მას ბანგლადეშში დააბრუნებენ.

## ბავშვები საზღვარზე კონტრაბანდულად გადაჰყავდათ



**მექსიკის საიმიგრაციო სამსახურის განცხადებით, შეერთებული შტატების საზღვართან ახლოს გზატკეცილზე 57 გვატემალელი მოზარდი სატვირთო მანქანაში ჩაკეტილი იპოვეს.**

იმიგრაციის ეროვნულ სამსახურში განაცხადეს, რომ მოზარდებს შორის 43 ბიჭი და 14 გოგო იყო. მოზარდებს ნათესავები და ახლობლები არ ახლდათ. სატვირთო მანქანა შემოწმების მიზნით გზატკეცილზე გააჩერეს. მანქანის მძღოლი დააკავეს, ხოლო არასრულწლოვნები ბავშვთა დაცვის დაწესებულებაში გადაიყვანეს. ხშირია ასეთი შემთხვევები, როცა ბავშვები კონტრაბანდულად გადაჰყავთ, რადგან მათი მშობლები შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში არიან.

## სროლები სინაგოგასთან

**აღმოსავლეთ იერუსალიმში, სინაგოგასთან სროლის შედეგად მოკლულია, სულ მცირე, შვიდი ადამიანი, სამი დაშავებულის მდგომარეობა კი მძიმეა.** ისრაელის პოლიცია მომხდარს ტერორისტულ თავდასხმად აფასებს. სამართალდამცველების ცნობით, თავდამსხმელი „ნეიტრალიზებულია“. ამასთან, ადგილობრივი მედიის ცნობით, თავდასხმაში ეჭვმიტანილი პოლიციამ მოკლა, როდესაც ის შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდა. როგორც პოლიციაში განაცხადეს, თავდამსხმელი აღმოსავლეთ იერუსალიმის მცხოვრები იყო. მომხდარი თავდასხმა დაგმო აშშ-მა. **„ჩვენ უმკაცრესად ვგმობთ ამ აშკარა ტერორისტულ თავდასხმას. ჩვენი მხარდაჭერა ისრაელის უსაფრთხოებისადმი ურყევი რჩება“,** – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებაში.

## ყინულის ბუდობი მოლეკულურ ღრუბელში

**ასტრონომების საერთაშორისო ჯგუფმა მოლეკულურ ღრუბელში ყინულის ნაწილაკების დღეისთვის ყველაზე დეტალური ანალიზის შედეგები წარადგინა.**

მეცნიერებმა დაკვირვება ტელესკოპ „ჯეიმს ვების“ დახმარებით ჩაატარეს. ღრუბელი „ქამელეონი I“ დედამიწიდან 630 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს – ეს გაზისა და მტვრის რეგიონია, სადაც წყალბადი და ნახშირბადის მონოქსიდი წარმოიქმნება.

**„ვების“ მიერ გადაღებული ფოტოს ქვედა მარცხენა კუთხეში ახალგაზრდა პროტოვარსკვლავი CED110 Iris 4-ია აღბეჭდილი. სტაფილოსფერი წერტილები ფოტოზე ვარსკვლავებიდან მომავალ სინათლეს წარმოადგენს. დედამიწისთვის ჩვეული წყლის ყინულის გარდა, მეცნიერებმა კოსმოსურ სივრცეში სხვადასხვა მოლეკულის გაყინული ფორმა აღმოაჩინეს, მათ შორის ამიაკის, მეთანის, მეთანოლის. ამ გაყინულ მოლეკულებს ვარსკვლავებისა და პლანეტების შექმნაში შეუძლიათ წვლილის შეტანა.**

## პოლიციელებს ბრალი წაუყენეს

**აშშ-ში, ტენესის შტატში ხუთ პოლიციელს წარედგინა ბრალი გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით, მას შემდეგ რაც მათ მიერ დაკავებული სავარაუდო დამნაშავე დაკავებისას მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.**

შტატის ხელისუფლება შესაძლო საპროტესტო აქციებისა და არეულობებისთვის ემზადება, როგორც ეს 2020 წელს მინეაპოლისში ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის შემდეგ მოხდა. 7 იანვარს ქალაქ მემფისის პატრული ცდილობდა, დაეკავებინა 29 წლის ტაირი ნიკოლსი ავტომობილის სახიფათო ტარების გამო. მან პოლიციის ბრძანების შესრულებაზე უარი თქვა, რის შემდეგაც პატრული მას დაედევნა და დააკავა.



შემდეგ, როგორც ნიკოლსის ოჯახის ადვოკატების განცხადებაშია აღნიშნული, დაკავებულს პოლიციამ „სასტიკად სცემა“. ტაირ ნიკოლსი კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის 10 იანვარს გარდაიცვალა. შიდა გამოძიების შედეგად ხუთივე პოლიციელი სამსახურიდან დაითხოვეს, ორი დღის წინ კი მათ ბრალი წარუდგინეს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის, თავდასხმის და დამამძიმებელ გარემოებებში მოტაცების, სამსახურებრივი მოვალეობების გადამეტების მუხლებით. სხვა მსგავსი საქმეებისგან ამ საქმის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ხუთივე ყოფილი პოლიციელი, ისევე როგორც ტაირ ნიკოლსი აფროამერიკელები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებებს შორის არ არსებობს რასისტული შემადგენელი, ნიკოლსის ოჯახის ადვოკატები აცხადებენ, რომ პრობლემა უკავშირდება ქალაქ მემფისის პოლიციელთა ქცევის კულტურას, რომელიც, მათი აზრით, გაჟღენთილია აფროამერიკელების მიმართ რასიზმით.

## „ვაგნერის“ სასაფლაოზე საფლავების რაოდენობა 7-ჯერ გაიზარდა

**რუსული კერძო სამხედრო კომპანიის, „ვაგნერის“ სასაფლაოზე საფლავების რაოდენობა 7-ჯერ გაიზარდა. კერძოდ, კრასნოდარის მხარეში 24 იანვარს თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოებზე ჩანს, რომ სასაფლაო 7-ჯერ გაიზარდა იმასთან შედარებით, რაც იქ 2022 წლის 24 ნოემბერს იყო გადაღებული. ფოტოებზე სულ მცირე 170 ახალი საფლავი ჩანს.**

მანამდე აშშ-ის ადმინისტრაცია იუწყებოდა, რომ „ვაგნერის“ დანაკარგები უკრაინის ათასობით ადამიანს შეადგენს და მათი 90% ყოფილი პატიმრები არიან, რომლებთანაც „ვაგნერმა“ ციხიდან გათავისუფლების სანაცვლოდ კონტრაქტები გააფორმა.



## აღმოაჩინეს ყველაზე ძველი მუმია

**ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს მახლობლად ნაპოვნ ფარაონების სამარხში არქეოლოგებმა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და კარგად შენახული მუმია აღმოაჩინეს, რომლის სავარაუდო ასაკიც 4300 წელია.**

მუმია საჰარაში, საფეხუროვანი პირამიდის მახლობლად 15-მეტრიანი სამარხის ძირში იპოვეს და ის ვინმე ჰეკაშეპესს ეკუთვნის. ექსპედიციის ხელძღვანელის, ზაჰი ჰავასის განცხადებით, ეს შეიძლება იყოს ყველაზე ძველი მუმია, რომელიც ოდესმე ეგვიპტეშია ნაპოვნი.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6393; ევრო - 2.8745;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2677;
100 რუბლი - 3.8004; თურქული ლირა - 0.1403;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5556;
1000 სომხური დრამი - 6.6814

**ამინდი 30 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე | +8 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე | +8 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე | +11 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge